ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION

care

PMCG Research

# პრიორიტეტული სათემო პრობლემები მესტიის მუნიციპალიტეტში



## ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი

2020

თბილისი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამისა (ENPARD III) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ორგანიზაციის (ADA) მიერ დაფინანსებული და „ქეა ავსტრია“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში, პარტნიორი ორგანიზაცია „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის კვლევითი ცენტრი“-ს (PMC-RC) კონსულტანტის, კოკა კიღურაძისა და მკვლევარების, სოფო ბასილიძისა და თენგიზ სულთანიშვილის მიერ.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის „პი ემ სი“ კვლევით ცენტრს და არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება არც ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, არც ნებისმიერ პირს, რომელიც მათი სახელით მოქმედებს.

PMC Research

© პი ემ სი კვლევითი ცენტრი

# სარჩევი

**შესავალი** ........ 6

**თავი I. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მათი პრაქტიკაში გამოყენების სპეციფიკა** ........ 7

**თავი II. საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობები და ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესი** ........ 9

1. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები ........ 9

2. ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები (რომლებიც გამოიყენება საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში) ........ 12

**თავი III. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემების ჭრილში** ........ 14

**3.1 ინფრასტრუქტურა და ძირითადი სოციალური მომსახურებები** ........ 15

**3.2 განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა** ........ 35

**3.3 გარემოს დაცვა** ........ 53

**3.4 სოფლის მეურნეობა** ........ 60

**3.5 ტურიზმი** ........ 71

**შეჯამება** ........ 78

**დანართი** ........ 79

# ცხრილებისა და გრაფიკების სია & აბრევიატურები

## ცხრილები

**ცხრილი 1.** სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები და მათი გამოყენების მნიშვნელობა

**გრაფი 1.** თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები

**ცხრილი 2.2.** სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში

**ცხრილი 3.1.1** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: ინსფრასტრუქტურული მიმართულება

**ცხრილი 3.1.2** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით

**ცხრილი 3.1.3** პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**გრაფი 2.** 2019 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯული ბიუჯეტი

**გრაფი 3.** ინფრასტრუქტურის მიმართულებით დახარჯული ბიუჯეტი

**ცხრილი 3.1.4** ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით

**ცხრილი 3.2.1** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: განათლების კომპონენტი ინფრასტრუქტურის მიმართულებაში

**ცხრილი 3.2.2** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: განათლების მიმართულება

**გრაფი 4.** კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯული ბიუჯეტი

**ცხრილი 3.2.3** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

**გრაფი 5.** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დახარჯული ბიუჯეტი

**ცხრილი 3.2.4** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

**ცხრილი 3.2.5** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით

**ცხრილი 3.2.6** პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და განათლების მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.2.7** პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.2.8** პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.2.9** პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.2.10** კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით.

**ცხრილი 3.3.1.** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: გარემოს დაცვის მიმართულება

**ცხრილი 3.3.2** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები გარემოს დაცვის მიმართულებით

**ცხრილი 3.3.3** პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და გარემოს დაცვის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.3.4** გარემოს დაცვის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით

**ცხრილი 3.4.1** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები 2019 წელს

**ცხრილი 3.4.2** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე თანხების გადანაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

**ცხრილი 3.4.3** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: სოფლის მეურნეობის მიმართულება

**ცხრილი 3.4.4** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები სოფლის მეურნეობის მიმართულებით (გამსხვილებულ კატეგორიებად)

**ცხრილი 3.4.5** პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.4.6** სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით

**ცხრილი 3.5.1.** მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: ტურიზმის მიმართულება

**ცხრილი 3.5.2** მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები ტურიზმის მიმართულებით

**ცხრილი 3.5.3** პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ტურიზმის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %

**ცხრილი 3.5.4** ტურიზმის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით

## აბრევიატურები

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი თვითმმართველობა | - | თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. |
| ადგილობრივი ხელისუფლება | - | ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. |
| ასიგნება | - | საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება |
| ბიუჯეტი | - | ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა |
| ბიუჯეტის გაწერა | - | ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | - | საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. |
| მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება | - | სახელმწიფო/ავტონომიური ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. |
| მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება | - | ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს. |
| ნაშთი | - | შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისთვის არსებული ფულადი სახსრები. |
| პრიორიტეტი | - | ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს პროგრამებს/ქვეპროგრამებს. |
| პროგრამა | - | პროგრამა - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. |
| საბიუჯეტო წელი | - | კალენდარული წელი. |
| სახელმწიფო ხაზინა | - | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური. |
| ქვეპროგრამა | - | ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც, თავის მხრივ, პროგრამის შემადგენელი ნაწილია. |

# შესავალი

ENPARD III/ „LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ პროექტის ფარგლებში 2019 წლის იანვარი-მარტის პერიოდში პროექტის გუნდის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში (დაბა მესტიის გარდა) გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც ხუთ ძირითად კატეგორიაში გადანაწილდა. აღნიშნული კატეგორიებია:

1. ინფრასტრუქტურა და ძირითადი სოციალური მომსახურებები;

2. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა;

3. გარემოს დაცვა;

4. სოფლის მეურნეობა;

5. ტურიზმი.

აღნიშნული დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში მცხოვრებ აქტიურ მოქალაქეებს საშუალება მისცეს, გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს, შეძლონ ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი, ასევე, გამოწვევების გათვალისწინებით, გამიჯნონ ცენტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის კომპეტენციები და შეისწავლონ ადგილობრივ გამოწვევათა დაძლევის გზები და მექანიზმები.

დოკუმენტის პირველი თავი მიმოიხილავს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და პრაქტიკაში მათი გამოყენების სპეციფიკას. აღნიშნული თავის მიზანს წარმოადგენს გააანალიზოს ის სარგებელი, რაც აღნიშნული მექანიზმების გამოყენებამ შეიძლება მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას.

დოკუმენტის მეორე თავში მიმოხილულია მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსულობები, მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების პროცესი და სამოქალაქო ჩართულობის ის მექანიზმები, რომლებიც შესაძლოა ეფექტურად გამოიყენონ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნული თავის მიზანს წარმოადგენს, მოსახლეობის გათვითცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რა არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წყაროები, ჩართულობის რა სახის მექანიზმები არსებობს იმისთვის, რომ მოსახლეობამ შეძლოს ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის შექმნისა და, მოგვიანებით, მისი ხარჯვის მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა.

მესამე თავში გაანალიზებულია მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესაბამისობა **„LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“** პროექტის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში (დაბა მესტიის გარდა) იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ პრობლემებთან და განხილულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციები აღნიშნული პრობლემების მოგვარების კუთხით.

აღნიშნული თავის მიზანს წარმოადგენს ის, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ შეძლოს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციების გამიჯვნა თითოეული თემატური მიმართულების მიხედვით, (ინფრასტრუტურა და ძირითადი სოციალური სერვისები, განათლება/კულტურა/სპორტი/ახალგაზრდობა და ჯანდაცვა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა) ერთმანეთს შეუსაბამოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები და დაგეგმილი აქტივობები და გაეცნოს სამოქალაქო ჩართულობის იმ მექანიზმებს, რომლებიც შესაძლოა მოსახლეობამ მუნიციპალიტეტში გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენოს.

# თავი I. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მათი პრაქტიკაში გამოყენების სპეციფიკა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულია ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხუთი მექანიზმი, რომლებიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულ თავში მიმოხილულია მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული ფორმები და თითოეული მათგანის შემთხვევაში გამოკვეთილია სამი მნიშვნელოვანი სარგებელი.

**ცხრილი 1.** *სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები და მათი გამოყენების მნიშვნელობა*

| მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმები[1] | მონაწილეობის ფორმების გამოყენების სპეციფიკა |
|---|---|
| **დასახლების საერთო კრება** | მონაწილეობის აღნიშნული ფორმა გამოიყენება დასახლების წინაშე მდგარი პრობლემების წამოსაწევად. კრების მომწვევმა უნდა „განიხილოს საკითხი ან/და წარუდგინოს მოსაზრებები" დამსწრე საზოგადოებას, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან შეისწავლონ კრების მიერ განხილული საკითხი და გასცეს მას არგუმენტირებული პასუხი. სოფლის პრობლემებსა და გამოწვევებს კრება ვერ გადაწყვეტს. მას შეუძლია მხოლოდ პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის აქტუალური გახადოს.<br><br>შემდეგი სამი რამ შეიძლება მოგვცეს დასახლების საერთო კრების მოწვევამ და რჩეულის არჩევამ:<br><br>1. საკითხი შესაძლოა დადგეს მუნიციპალური ორგანოების დღის წესრიგში ან მოსახლეობამ მიიღოს არგუმენტირებული პასუხი, რომ პრობლემა გადაწყდება უახლოეს მომავალში/მოგვიანებით/საერთოდ არ ან ვერ გადაწყდება;<br>2. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ;<br>3. დასახლების საერთო კრება არის პეტიციის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი, რაც თავიდან აგვაცილებს პეტიციის წარდგენისთვის აუცილებელ ქმედებას – მთელი მუნიციპალიტეტის რეგისტრირებული ამომრჩევლის 1%-ის ხელმოწერების შეგროვების ვალდებულებას. |
| **მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** | მერის სამოქალაქო საბჭო არის მერის სათათბირო ორგანო და მას რაიმე ტიპის პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია. საბჭოს ფორმატი მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ მას აქვს უფლებამოსილება პირდაპირ მერს წარუდგინოს ინიციატივები და მერს მისცეს უკუკავშირი ინიციატივებზე.<br><br>შემდეგი სამი რამ, რაც შეიძლება მოჰყვეს საბჭოს ფორმატის არსებობას:<br><br>1. მერი ვალდებული ხდება საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე, სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები);<br>2. საბჭოს ფორმატი მის წევრებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად შეიმუშავონ ინციატივები, პროგრამები, პროექტები და წარუდგინონ განსახილველად მერს;<br>3. ესაა ფორუმი, სადაც ბიზნესსექტორს, არასამთავრობო სექტორსა და აქტიურ მოქალაქეებს ეძლევათ თანამშრომლობის შესაძლებლობა. |

[1] საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 85-88 მუხლები https://matsne.gov.ge/document/view/2244429?publication=44

| | |
|---|---|
| **პეტიცია** | პეტიცია არის მოსახლეობის მოთხოვნა საკრებულოს უფლებამოსილებაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით (წესების დადგენა, ბიუჯეტის დამტკიცება, აღმასრულებელ საქმიანობაზე ზედამხედველობა). მოთხოვნის არსებობა საკრებულოს არ ავალდებულებს მის დამტკიცებას.<br>სამი ფორმა, რომლითაც შესაძლებელია პეტიციის წარდგენა:<br>1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;<br>2. მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;<br>3. მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა. |
| **მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშების საჯარო მოსმენა** | ანგარიშების საჯარო მოსმენა წარმოადგენს მონაწილეობის ფორმას, სადაც მოსახლეობას აქვს სამი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა:<br>1. მიიღოს ინფორმაცია მის მიერ არჩეული პირის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;<br>2. გამოთქვას მოსაზრებები და შეხედულებები არჩეული თანამდებობის პირის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;<br>3. დღის წესრიგში დააყენოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. |
| **საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომები** | საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომები ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა ადამიანს, რომელიც კანონიერად იმყოფება საქართველოში.<br>სამი მნიშვნელოვანი მიზეზი, რატომ უნდა დავესწროთ საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებს:<br>1. ვიყოთ ინფორმირებული ყველა იმ საკითხზე, რომელსაც განიხილავს საკრებულო, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომელიც ეხება ან შეიძლება მომავალში შეეხოს ჩვენს დასახლებას;<br>2. გვაძლევს შესაძლებლობას საკრებულოსა და საკრებულოს სხდომის წინაშე წამოვაყენოთ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივები;<br>3. გვაძლევს შესაძლებლობას გამოვთქვათ ჩვენი შეხედულებები, საკრებულოს წევრებისა და მერის ინიციატივებზე. |

# თავი II. საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობები და ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესი

წინამდებარე თავში მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსულობებია ახსნილი. თავდაპირველად განმარტებულია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები. შემდეგ მიმოხილულია თითოეული ის შემოსულობა, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლების მუხლში ერთიანდება, უფრო კონკრეტულად, ადგილობრივი გადასახადიდან მიღებული შემოსავლები, გრანტები და სხვა შემოსავლები. მე-2 თავის დასასრულს ახსნილია ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესი და მოკლედაა მიმოხილული სამოქალაქო ჩართულობის ის მექანიზმები, რომლებიც შესაძლოა, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში იქნეს გამოყენებული.

იმისათვის, რომ მოსახლეობა ჩაერთოს ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის შექმნისა და მოგვიანებით მისი ხარჯვის მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, განიმარტოს, საიდან ხვდება ფული მუნიციპალურ ბიუჯეტში, როგორ დგება ის და რა მექანიზმები არსებობს იმისათვის, რომ ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა ჩაერთოს.

## 2.1 ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსური რესურსების ერთობლიობა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობებს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ბიუჯეტის შემოსულობებს განმარტავს, როგორც საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის გადასახდელების (ხარჯების) დაფინანსებას. ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო შემოსულობები შედგება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული, სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლებიდან.

ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისგან.

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებია:**

- ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები.

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსულობებია:**

- სპეციალური ტრანსფერი;
- მიზნობრივი ტრანსფერი;
- კაპიტალური ტრანსფერი;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები.

ბიუჯეტის შემოსულობების სწორი და სრული აღრიცხვისათვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, შედგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაცია. მასში კანონით დადგენილი გადასახადებიწ და ბიუჯეტის სხვა შემოსულობები იყოფა (კლასიფიცირდება) ცალკეულ ჯგუფებად გარკვეული კრიტერიუმების, ნიშნებისა და სპეციფიკის მიხედვით. ამდენად, შემოსულობების კლასიფიკაცია შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ჯგუფებისა და ფუნქციების მიხედვით.

ბიუჯეტის შემოსულობები კლასიფიკაციის შესაბამისად მოიცავს: შემოსავლებს, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავლებს და ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებულ შემოსავლებს. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები სქემატურად შემდეგნაირადაა გამოსახული (იხ. სქემა №2), რაც უფრო დეტალურად იქნება განხილული.

***გრაფი 1.*** *თვიწთმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები*




ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების მუხლში ერთიანდება:

1. **ადგილობრივი გადასახადიდან მიღებული შემოსავლები:** „საქართველოს საგადასახადო კოდექსის" თანახმად, მხოლოდ ქონების გადასახადი განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადს და, შესაბამისად, ქონების გადასახადის სახით მობილიზებული სახსრები მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის შემოღების უფლებამოსილებაც აქვს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს);
2. **გრანტები:** გრანტები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ჯგუფებად: საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული გრანტები, უცხო ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტები და სხვა დონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიდან მიღებული გრანტები. ამ უკანასკნელ მუხლში აღირიცხება სწორედ სახელმწიფობიუჯეტიდანთვითმმართველიერთეულისათვისგადმოცემულიტრანსფერები. ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველობებზე გასაცემი ტრანსფერები თავის მხრივ დიფერენცირებულია მათი მიზნობრიობის მიხედვით: **მიზნობრივი**[2], **კაპიტალური**[3] **და სპეციალური**[4]**;**

---

[2] **მიზნობრივი ტრანსფერი** – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრებია;

[3] **კაპიტალური ტრანსფერი** – კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;

[4] **სპეციალური ტრანსფერი** – სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება.

3. **სხვა შემოსავლები:** სხვა შემოსავლების მუხლი მოიცავს: თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენებიდან მიღებულ შემოსავლებს; ადგილობრივ მოსაკრებლებს; ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს. უნდა აღინიშნოს, რომ „სხვა შემოსავლების" მოცემული ქვეჯგუფები თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად, რომელიც ამავე თავში უფრო დაწვრილებითაა აღწერილი.
4. 2019 წლიდან ნაცვლად გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის ცალკეული ელემენტებისა, სახელმწიფომ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადის ცნება შემოიღო და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსული თანხების 19% მუნიციპალიტეტებისკენ მიმართა.

### *ადგილობრივი მოსაკრებლები*

ადგილობრივი მოსაკრებლების ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში ასახვას, მოსაკრებლის სახეობას, ოდენობას, შემოღების წესსა და მოსაკრებელის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ", რომელიც თავის მხრივ ემყარება საქართველოს კონსტიტუციასა და „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონს.

აღნიშნული კანონის თანახმად, ადგილობრივი მოსაკრებელი სრულად აკუმულირდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დაწესებული ვადის მიხედვით ან მის გარეშე. კანონით განსაზღვრული ძირითადი მოსაკრებლის სახეობებია:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის;
- მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის;
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
- მოსაკრებელი სპეციალური შეთანხმების გაცემისათვის;
- კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღებაზე პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები.

### *არასაგადასახადო შემოსულობები*

არასაგადასახადო შემოსულობების ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირება განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით:

- ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი კერძო საწარმოების მოგებიდან;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებიდან;
- სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი მიწის იჯარაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი. თუ მიწა მდებარეობს თვითმმართველობის ტერიტორიაზე და არ არის მის სარგებლობაში, ადგილობრივ ბიუჯეტში რჩება იჯარის 35%. თუ მიწა თვითმმართველობის სარგებლობაშია, შემოსავალი იჯარიდან 100%-ით მიდის ადგილობრივ ბიუჯეტში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი;
- სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან მიღებული შემოსავალი;
- რენტიდან მიღებული შემოსავალი;
- შემოსავალი სახელმწიფო ბაჟიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ამოღებული;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებიდან მიღებული მოსაკრებელი. ადგილობრივ ბიუჯეტში რჩება 10%;
- გარე რეკლამის განთავსებიდან მიღებული შემოსულობა;
- შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურის მიერ გაწეული მომსახურე-ბიდან;

- შემოსავალი სახელმწიფო ქონების გადაცემიდან, რომელიც მდებარეობს თვითმმართველობის ტერიტორიაზე და არ არის მის სარგებლობაში. ადგილზე რჩება შემოსავლის 35% თუ თვითმმართველობის სარგებლობაშია 100%;
- შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის სარგებლობაში არსებული ქონების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან;
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები);
- შემოსავალი საგზაო წესების დარღვევისათვის ჯარიმებიდან. ადგილზე რჩება 60%;
- შემოსავალი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დარღვევიდან, ჯარიმის სახით;
- ვალუტის კურსის ცვლილებიდან მიღებული შემოსავალი.

## 2.2 ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები (რომლებიც გამოიყენება საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში)

მუნიციპალური ბიუჯეტი იგეგმება ყოველ წელს. ბიუჯეტის დოკუმენტში გამოკვეთილია ის მიმართულებები და აქტივობები, რომელთა დაფინანსება და განხორციელებაც დაგეგმილია შესაბამის წელს. აღნიშნულ თავში მიმოხილულია ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი და სამოქალაქო ჩართულობის ის მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ აღნიშნულ პროცესში.

ბიუჯეტის დოკუმენტის მზადება იწყება პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. პრიორიტეტები გულისხმობს იმ მიმართულებების გამოკვეთას, რომლის განვითარებაც მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაზღვრულ პერიოდში. პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერი, ყოველი წლის 1 მარტიდან გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედეგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები (იხილეთ, ცხრილი 2.2).

***ცხრილი 2.2.*** *სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში*

| აქტივობა | პასუხისმგებელი ორგანო | ვადა | სამოქალაქო ჩართულობის რეკომენდებული ფორმა |
|---|---|---|---|
| პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. | მუნიციპალიტეტის მერი | ყოველი წლის 1 მარტიდან | დასახლების საერთო კრება<br><br>მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო |
| ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ყოველი წლის 15 ივლისამდე | |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. | მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | 15 ივლისიდან | დასახლების საერთო კრება<br><br>მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო<br><br>პეტიცია |
| აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს. | თვითმმართველი ერთეულის მერი | არაუგვიანეს 15 ნოემბრისა | დასახლების საერთო კრება<br><br>მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო<br><br>პეტიცია |
| ბიუჯეტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. | მუნიციპალიტეტის საკრებულო | ადგილობრივი საკრებულოსთვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში | საკრებულოსა და კომისიის სხდომებში მონაწილეობა |
| საკრებულო ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს. | წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო | არაუგვიანეს 25 ნოემბრისა | საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა |
| ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს. | თვითმმართველი ერთეულის მერი | არაუგვიანეს 10 დეკემბრისა | დასახლების საერთო კრება<br><br>მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო |
| საჯაროდ იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს. | წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო | ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (31 დეკემბერი) | საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა[5] |

**მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების გამოყენებისას, სასურველია გავითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:**

- მონაწილეობის ფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული საბიუჯეტო პროცესთან, შესაბამისად, პროცესები უნდა მოექცეს ძირითადად 1 მარტიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში, რადგან საკრებულოს საჯარო განხილვების დროს, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიუჯეტში აღარ აისახება;
- ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდი ხშირად გამოყენებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების დასაგეგმად (რადგან ამ პერიოდში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვერ ხორციელდება, განსაკუთრებით მესტიის მუნიციპალიტეტში);
- მოქალაქეთა მონაწილეობით საკითხები/პროექტები სხვადასხვა ინიციატივები შესაძლებელია მომზადდეს წლის ნებისმიერ პერიოდში, ხოლო მათი ინიცირება უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო კალენდრის გათვალისწინებით, რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მომზადების პროცესში (ზამთარი, ადრე გაზაფხული, უფრო მეტი დეტალები უნდა დაზუსტდეს მუნიციპალიტეტში);
- დასახლების საერთო კრებისა და პეტიციის წესით საკითხების/პროექტების ინიცირებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ ორი თვე, რაც საჭიროა პროცესის ორგანიზებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

მას შემდეგ რაც პირველ და მეორე თავებში მიმოვიხილეთ არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და დაგეგვის პროცესი და, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მოსახლეობის ჩართულობის ინსტრუმენტები, დროა, მესტიის მუნიციპალიტეტის კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ. მომდევნო თავებში გაანალიზებულია მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესაბამისობა **„LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში — ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“** პროექტის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში (16 თემი, დაბა მესტიის გარდა) იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ პრობლემებთან.

5 საქართველოს კანონი, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ - https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=42

# თავი III. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემების ჭრილში

„LEADER მიდგომის დანერგვა მესტიის მუნიციპალიტეტში – ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“ პროექტის დასაწყისში CRRC Georgia-ს მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ ცხადყო, რომ, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობამ ან არ იცის, ან კიდევ არასწორად იცის, ვის უნდა მიმართოს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. სწორედ ამიტომ აღნიშნული თავი:

ა) გამოკვეთს ძირითად თემატურ მიმართულებების მიხედვით (ინფრასტრუტურა და ძირითადი სოციალური სერვისები, განათლება/კულტურა/სპორტი/ახალგაზრდობა/ჯანდაცვა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა) დაფინანსების საბიუჯეტო წყაროებს (ცენტრალური და ადგილობრივი).

ბ) აანალიზებს მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის იმ მიმართულებებს, რომლებიც თანხვედრილია მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებულ ძირითად თემატურ მიმართულებებთან;

გ) დეტალურად განიხილავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციებს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ გამოვლენილი პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

დ) მომოიხილავს სამოქალაქო ჩართულობის იმ მექანიზმებს, რომელიც კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

2019 წელს, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა (ასიგნებებმა) ჯამში **20,793,800** ლარი შეადგინა. **ექვსი** (6) სექტორის (1. ინფრასტრუქტურა; 2. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება; 3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები; 4. განათლება 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; 6. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა) მიხედვით დანახარჯების პროცენტული განაწილება შემდეგია (იხილეთ გრაფი 2): ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაიხარჯა 12,555,700 ლარი, რაც მთელი ფინანსური რესურსის 60.4%-ს შეადგენს. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას დაეთმო 3,764,800 ლარი (18.1%), ხოლო კულტურას, რელიგიას, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებებს – 1,755,600 ლარი (8.4%). რაც შეეხება განათლებას, ამ მიმართულებით დაიხარჯა 1,681,700 ლარი (8,1%), ხოლო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას მოხმარდა 976,000 ლარი (4.7%). ყველაზე ცოტა, 60,000 ლარი (0.1%) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის მიმართულებით დაიხარჯა.

**გრაფი 2.** *2019 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯული ბიუჯეტი*

**რაში დაიხარჯა მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

**2019 წელს**




| ინფრასტრუქტურა | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | განათლება | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა |
|---|---|---|---|---|---|
| 60.4% | 18.1% | 8.4% | 8.1% | 4.7% | 0.3% |

# ინფრასტრუქტურა და ძირითადი სოციალური მომსახურებები

## 3.1 ინფრასტრუქტურა და ძირითადი სოციალური მომსახურებები

მუნიციპალიტეტების უმრავლესობისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უმსხვილეს მიმართულებასა და საბიუჯეტო პრიორიტეტს წარმოადგენს. სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტისა და მათი პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ ინფრასტრუქტურა, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების გათვალისწინებით ძირითადად მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- საგზაო ინფრასტრუქტურა;
- საჯარო ადგილების მოწყობა (პარკები, სკვერები);
- მშენებლობა, რეაბილიტაცია.

მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა: სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ნაგავსაყრელების მოწყობა და სხვა, ახორციელებენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით. რაც შეეხება პრაქტიკას, მუნიციპალიტეტს თითქმის არ რჩება ფინანსური რესურსი საკუთარი შემოსულობებიდან, რომ დააფინანსოს ინფრასტრუქტურული პროექტები და მაინც დამოკიდებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდსა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ტრანსფერზე.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები დადგენილია ორგანული კანონით და მოიცავს შემდეგ მიმართულებებსნ:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ) გარე განათება;

გ) წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემები;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის სარწყავი სისტემა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ვ) სასაფლაოები;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები;

თ) პარკირება;

ი) მუნიციპალური ნარჩენების გატანის სისტემა;

კ) საბავშვო ბაღები;

ლ) მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, მიწის ნაკვეთისთვის ან/და შენობა-ნაგებობისთვის სამშენებლო განვითარების მიზნებისთვის შეუსაბამო მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭება, მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზისა და სერვიტუტის დადგენა, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელება;

ნ) ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

თუმცა მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციებით. მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ღონისძიებები, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების მიმართულებებით. ასევე, ყველა იმ მიმართულებით, რომელიც არ შედის სხვა ორგანოს უფლებამოსილებებში და, ამასთანავე, არ არის აკრძალული მუნიციპალიტეტებისთვის.

[6] საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

### 3.1.1. ინფრასტრუქტურის დაფინანსების საბიუჯეტო წყაროების გამოკვეთა (ცენტრალური და ადგილობრივი)

2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და განათლების ხელშეწყობას. შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია[7]:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მოიცავს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გაუმჯობესებას, რაც პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გზების, გარე განათების, წყლის სისტემებისა და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა.

„პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა -რეაბილიტაცია და საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დაფინანსება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. იგეგმება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, სკვერების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყობა სპორტული მოედნები.

პრიორიტეტში არსებული პროექტების განხორციელების მოსალოდნელი საბოლოო შედეგები იქნება:

- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება;
- ავტოსაგზაო შემთხვევათა პრევენცია;
- ახალი გარე განათების მოწყობა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;
- მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის მაჩვენებელი;
- მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- იმიგრაციის შემცირება;
- მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის მიმართულებას შეესაბამება პროგრამული კოდი 03 00, რომელიც შემდეგ უკვე ჩაშლილია, ქვემიმართულებებად და მის შესაბამის კოდებად. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) განსაზღვრულია 20 793 800 ლარით, საიდანაც 12 555 700 ლარი, ანუ მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 60.4%-ი, მიემართება ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

---

7 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (კონსოლიდირებული ვერსია): https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4.
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

2019 წელს, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, 12 555 700 ლარი დაიხარჯა ექვსი (6) ძირითადი მიმართულებით (იხილეთ გრაფი #3).

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) - 4,036,600 ლარი
2. კომუნალური ინფრასტრუქტურა - 1,882,900 ლარი
   - გარე განათება - 150,000 ლარი
   - დასუფთავება - 911,700 ლარი
   - წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 356,800 ლარი
   - რეგიონალური განვითარების ფონდის თანადაფინანსება - 464,400 ლარი
3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა - 3,905,400 ლარი
4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1,781,000 ლარი
5. სარწყავი არხები - 919,800 ლარი
6. ტურიზმის განვითარება - 30,000 ლარი

***გრაფი 3.*** *ინფრასტრუქტურის მიმართულებით დახარჯული თანხები 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში*



***ცხრილი 3.1.1*** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: ინსფრასტრუქტურული მიმართულება*[8]

| პროგრამუ-ლი კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა[9] | მთლიანი ინფ-რასტრუქტურის ბიუჯეტის % წილი | ამ მიმართულებით განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობა[10] |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 12 555 700 | მოიცავს:<br>• 03 01<br>• 03 02<br>• 03 03<br>• 03 04<br>• 03 05<br>• 03 07 | |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა (გზები და ხიდები ) | 4 036 600 | მოიცავს კოდებს:<br>• 03 01 01<br>• 03 01 02 | |
| 03 01 01 | მუნიციპალიტეტის გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია | 4 036 600 | 32.1 % | პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გზებისა და ხიდე-ბის რეაბილიტაცია. დაგეგმილია დ. მესტიაში შემდეგი ქუჩების რეაბილი-ტაცია: ავთანდილ ხერგიანის ქუჩა, ერეკლე ფარჯიანის 1-ლი და მე-2 ჩი-ხი, მაქსიმე გვარლიანის ქუჩა, ნუგზარ ჯაფარიძის ქუჩა, ჯონდო ხაფთანის ქუჩა, ბეთლემის ჩიხი, დ. აღმაშენებ-ლის ჩიხი, ილიკო გაბლიანის ქუჩის მონაკვეთი, ბექნუ ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფ. კალის ტერიტო-რიული ერთეული: სოფელ ვიჩნაშისა და დაუბერის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ხიდის მშენებლობა, სოფ. ხალდეს გზის რეაბილიტაცია, სოფ. უშგულში ჩაჟაში მდინარეზე სა-მარხილე ხის ხიდის მოწყობა. |
| 03 01 02 | მესტიის მუნიციპა-ლიტეტში საბაგირო გზის მშენებლობა | 0.0 | 0% | |

8 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

9 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

10 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 1 882 900 | მოიცავს კოდებს:<br>• 03 02 01<br>• 03 02 02<br>• 03 02 03<br>• 03 06 | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება. უზრუნველყოფილი იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიება, ასევე, წყლის სისტემისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. |
| 03 02 01 | ა (ა )იპ მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური | 150 000 | 1.2 % | მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე, სოფლის ცენტრებში ახალი განათების ბოძების მოწყობა. |
| 03 02 02 | ა (ა )იპ მესტია დასუფთავება | 911 700 | 7.3 % | მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლების დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორებიცაა: გარემოს დასუფთავება, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა. |
| | | | | აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში საქმიანობას წარმართავს ა.ა.იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური", ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს მესტიის ცენტრში არსებული პარკის მოვლა-პატრონობა და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა, თამარ მეფის ქუჩაზე „ლიბერთი ბანკის" მიმდებარედ არსებული სკვერის გალამაზება და განახლება, საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება, ბორდიურების განახლება. |
| 03 02 03 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 356 800 | 2.8 % | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია, დაგეგმილია უშგულის თემში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა და ბეჩოს თემში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **03 06**[11] | რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსება | 464 400 | 3.7% | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება. |
| **03 03** | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 3 905 400 | 31.1% | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საბავშო ბაღების, სპორტდარბაზების რეაბილიტაცია, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციაში მოსახლეობის დახმარება.<br><br>დაგეგმილია: სოფ. ცხუმარის ბაღის მშენებლობა, სოფ. ლატალის ბაღის რეაბილიტაცია, იფარის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია, სოფ. ეცერსა და ხაიშში ხელოვნური საფარის მოწყობა, ფარში, ნაკრაში, ხაიშში, ლენჯერში სპორტ-დარბაზების რეაბილიტაცია, მულახის მრავალფუნქციური შენობის რეაბილიტაცია, მუზეუმის რეაბილიტაცია, ხაიშის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია, ბიბლიოთეკის რემონტი, კახა ფალიანის სახელობის განსაკუთებული საჭიროების მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება. |
| **03 04** | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 919 800 | 7.3 % | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე-სარწყავი არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია. იგეგმება ცხუმარის, ლატალისა და ეცერი-ებუთის ნაპირსამაგრი არხის მშენებლობა, სოფ. უშგულში, ჩვიბიანიშის მდინარეზე, ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა. |
| **03 05** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1 781 000 | 14 % | აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დაგეგმილი პროექტები, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბეჩოს თემის სოფ ტვებიშსა და ნაშთქოლში, მდინარე დოლრაზე, სამეურნეო ხიდის მშენებლობა; |
| **03 07** | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 30 000 | 0.2% | აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დაფინანსება[12]. |

11 03 06 კოდი შედის 03 02-ში შემდეგი დადგენილების მიხედვით „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

12 DMO-ს მიზანი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაციაა. ასევე, DMO გააანალიზებს რეგიონში ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის მდგომარეობას და ახალ მიდგომას დანერგავს, რაც რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს. http://szs.gov.ge/geo/news/show/10/2005

### 3.1.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით

ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით, მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში გამოიკვეთა 15 ძირითადი პრობლემა (იხილეთ ცხრილი 3.1.2): აქედან **მხოლოდ** ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება ცხრა (9) პრობლემის მოგვარება. (1. კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა; 2.სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა; 3. სასმელი წყლის მიწოდების ძველიდა დაზიანებული სისტემები; 4. სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები; 5. სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიცაციისთვის ადგილის არქონა; 6. გარე განათების არ არსებობა; 7. მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა; 8. საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა; 9. საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა).

**როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციიაა ორი** (2) პრობლემის მოგვარება (1. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართავობა; 2. შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხისა და გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა).

მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება **ორი** (2) პრობლემის (1. დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები; 2. ინტერნეტსა და კავშირგაბმულობასთან შეზღუდული წვდომა) მოგვარება.

**არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების** კომპეტენციას წარმოადგენს **ორი** (2) პრობლემის მოგვარება (1. საბანკო სერვისების არარსებობა; 2. საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა).

ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური მომსახურებების მიმართულებით, მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი 15 პრიორიტეტული პრობლემიდან, **11 პრობლემის** მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, აღნიშნული 11 პრობლემიდან, მხოლოდ **ოთხი (4)** პრობლემის მოგვარება იყო გათვალისწინებული (1. კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა; 2. სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა; 3. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართავობა და შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი; 4. გარე განათების არარსებობა).

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული **შვიდი (7)** პრობლემის მოგვარებისთვის (1. სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები; 2. გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა; 3. სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები; 4. სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის გამოყოფილი ადგილის არქონა; 5. მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა; 6. საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა; 7. საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა) 2019 წლის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი გათვალისწინებული არ იყო.

ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით, დარჩენილია ოთხი (4) პრობლემა (1. დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები; 2. შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობასთან; 3. საბანკო სერვისების არარსებობა; 4. საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა), რომელთა მოგვარებაც ან მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება, ან კიდევ, არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებში არ ხვდება.

***ცხრილი 3.1.2.*** *მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით*

| პრიორიტეტი | პრობლემა |
|---|---|
| 1 | დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები |
| 2 | კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა |
| 3 | სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა |
| 4 | სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები |
| 5 | ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართავობა და შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი |
| 6 | გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია) |
| 7 | სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები |
| 8 | შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობასთან |
| 9 | სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის გამოყოფილი ადგილის არქონა |
| 10 | გარე განათება არარსებობა |
| 11 | მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა |
| 12 | საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა |
| 13 | საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა. |
| 14 | საბანკო სერვისების არარსებობა (კერძო სერვისი) |
| 15 | საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა |

**ცხრილი 3.1.3.** *პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %.*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/ მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების ასიგნებების) % | ინფრსასტ-რუქტურის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხშირია მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევები, რაც გამოწვეულია ამორტიზებული ინფრასტრუქტურით, მოძველებულია ელექტროენერგიის მიწოდების ბოძები და გადამცემი ხაზები, რომლებიც დიდთოვლობისა და უამინდობის შემთხვევაში მალევე გამოდის მწყობრიდან და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის იქ ცხოვრებას. არის ცალკეული შემთხვევები, როცა გადამცემი ხაზები და გადამცები ბოძები მოსახლეობისა და მისი შინაური ცხოველებისთვის პირდაპირი საფრთხის მატარებელი ხდება. | კომპეტენციის არსი: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს შესაბამისი პირობები, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქესა და საქართველოში კანონიერად მყოფ ყველა პირს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ელექტროენერგიის მიწოდების ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სერვისით.<br>ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი პარამეტრების ელექტროენერგიით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, ამ წესებისა და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.[13]<br>მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის მიწოდება მოსახლეობისთვის უფასოა, რადგან სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ, აღნიშნული ფაქტი, არ ათავისუფლებს მიმოწოდებელ კომპანიას ვალდებულებისგან, რომ მოახდინოს ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და მოსახლოებას უსაფრთხოდ და ხარისხიანად მიაწოდოს ელექტროენერგია. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: კომპეტენციები გადანაწილებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შორის. აღნიშნული კომპეტენცია სახელმწიფოს მიერ ხორციელდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიხედვით ე.წ. „Outsourcing" გზით და მას ახორციელებენ ლიცენზიანტი კომპანიები, საქართველოს რეგიონებში ძირითადად ოპერირებს კომპანია „ენერგო-პრო"[14].<br>კომპეტენციის მარეგულირებელი: სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას აკუთვნებს: ერთიან ენერგეტიკულ სისტემასა და რეჟიმს[15].<br>2. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს[16]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი | 0% | 0% |

---

13 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება №20, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების" დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/79540?publication=28

14 http://www.energo-pro.ge/ka/company

15 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

16 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3. კანონი აწესრიგებს ინდივიდუალური მეწარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობასა და ურთიერთობებს – წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის, ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების თვალსაზრისით. უზრუნველყოფილია საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქციონირება და განვითარება საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.<br>კანონის მიზანია შექმნას ყველა კატეგორიის მომხმარებლის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის, ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის და სასმელი წყლით მომარაგებისათვის საჭირო სამართლებრივი საფუძველი;[17] | | | |
| 2. კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისა-წვდომობა | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობა საერთოდ ვერ სარგებლობს ვერც ცენტრალური და ვერც ლოკალური საკანალიზაციო სისტემებით. ასეთი სისტემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდება და აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ძირითადად დაბა მესტიის ტერიტორიაზე. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებები, მიუხედავად მათი სტატუსისა, თანაბრად უნდა სარგებლობდნენ წყალარინების (კანალიზაციის) სერვისით. აღნიშნული კომპეტენცია წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას, მესტიის მუნიციპალიტეტი თანაბრად არის პასუხისმგებელი, აღნიშნული სისტემები განავითაროს როგორც ურბანულ, ისე რურალურ სივრცეებში.[18] | კომპეტენციის განმახორციელებელი: კომპეტენციას 2014 წლიდან ახორციელებს ადგილობრივი ადგილობრივი ხელისუფლება.[19]<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა: წყალმომარაგებისა (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება[20]. | საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, წარმოადგენს 03 00 ორგანიზაციული კოდით განსაზღვრული „ინფრა-სტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ პრიორიტეტის ქვეპროგრამას წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02 03)[21] | 1.7% | 2.84% |

---

17 საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/31744?publication=46

18 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

19 იგივე

20 იგივე

21 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის მე-№40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა | სოფლებსა და ადმინისტრაციულ ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზები ამორტიზებულია, ასევე საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს უშუალოდ სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზების რთული მდგომარეობა. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება ზამთარსა და გაზაფხულზე მოსული უხვი ნალექების ზემოქმედებითაც. შედეგად მუნიციპალიტეტში დაბალია ეკონომიკური ინტენსივობა, მოსახლეობა ვერ იღებს დროულ სამედიცინო დახმარებასა და სხვა სერვისებს. | კომპეტენციის არსი: მესტიაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. რაც იმას ნიშნავს, რომ ის არის ერთადერთი პასუხისმგებელი ამ პრობლემის მოგვარებაზე. მუნიციპალიტეტი თანაბრად არის პასუხიმგებელი ეტაპობრივად განავითაროს საგზაო ინფრასტრქუტურა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლებაში.[22] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“[23] საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“[24]. | კომპეტენციის წილი 2019 წლის ბიუჯეტში: მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (კოდი 03 00) წარმოადგენს პრიორიტეტს, სადაც ცალკე ქვეპროგრამად გამოიყოფა გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია (კოდი 03 01 01)[25] | 19.4% | 32.15 % |
| 4. სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებში ამორტიზებულია სასმელი წყლის მიწოდების მთელი სისტემა. დაზიანებულია, როგორც სათავე ნაგებობები ასევე მოძველებულია მილები. მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლებულია აღნიშნული სერვისის მიღების შესაძლებლობას. | კომპეტენციის არსი: 2014 წლიდან, ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებიდან, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განისაზღვრა წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) სისტემის განვითარება. ასევე, კოდექსის გარდამავალი დებულებით განისაზღვრა, რომ სასმელი წყლის მიწოდებასა და წყალარინებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებასა და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერი<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ | | 0 | 0 |

[22] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
[23] იგივე
[24] https://matsne.gov.ge/document/view/28420?publication=19
[25] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუნიციპალიტეტს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პირობები აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, რომლის პროექტს 2015 წლის 1 ივლისამდე ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მას საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა.<br>თუმცა ეს საკანონმდებლო აქტი ამ დრომდე მიღებული არ არის, რაც აფერხებს მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელების შესაძლებლობას.[26] | | კომპეტენციის წილი 2019 წლის ბიუჯეტში:<br>მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში, პროგრამის განხორციელების შედეგებში, მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტი იზრუნებს მოსახლეობის სასმელი წლით მომარაგებაზე, თუმცა ბიუჯეტში მითითებულია შემდეგი ჩანაწერი, რომ „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უშგულის თემში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა და ბეჩოს თემში შემავალი სოფლების საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა.<br>საიდანაც ჩანს რომ:<br>ამ ქვეპროგრამით განხორციელდება მხოლოდ საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, ხოლო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე ბიუჯეტში თანხები გამოყოფილი არ არის[27]. | | |

[26] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 2244429?publication=41

[27] მესტიისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს2018წლის27დეკემბრის№40დადგენილება„მესტიისმუნიციპალიტეტის2019წლისბიუჯეტისდამტკიცებისშესახებ“.https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5. ტურისტული ინფრასტრუქ-ტურის გაუ-მართავობა და შეთავაზებული სერვისების და-ბალი ხარისხი | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით მისი სასოფლო დასახლებების ნაწილში, არ არის შექმნილი შესაბამისი პირობები ტურისტებისთვის, კერძოდ, არ არსებობს ტურისტების საინფორმაციო მხარდაჭერისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საფეხმავლო ბილიკები და შესაბამისი მანიშნებლები, მოსასვენებელი ადგილები, უფასო WI-FI, კარვების მოწყობისთვის გამოყოფილი ადგილები. არ ხორციელდება კერძო სექტორის მხარდამჭერი ინიციატივები, რომ გაჩნდეს ახალი შესაძლებლობები ტურისტების კომფორტული მომსახურებისთვის. არ ტარდება ტურისტების<br><br>საჭიროებების კვლევა, რაც ამასთანავე კერძო და საჯარო სექტორს ამ გამოწვევებზე შესაბამისი პასუხის შესაძლებლობას მისცემდა. | კომპეტენციის არსი: საქართველოს მთავრობის დავალებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომლის მიზანია ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, საქართველოს პოპულარიზაციისა და საერთაშორისო და შიდა ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით, ტურისტულად მიმზიდველი კომერციული ან/და არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების რეკლამა/პროპაგანდა, ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.[28]<br><br>ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები ტურიზმის განვითარების მიმართულებით, ისე, რომ საკითხი არ იყოს ხელისუფლების სხვა ორგანოს გადასაწყვეტი და მუნიციპალიტეტისთვის არ იყოს კანონით აკრძალული.[29] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება<br><br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულო<br><br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br><br>საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ[30], საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ[31] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბერის ბრძანება №1-1/642 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“[32], საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.[33] | კომპეტენციის წილი 2019 წლის ბიუჯეტში:<br><br>მუნიციპალიტეტს 2019 წლის ბიუჯეტში 03 07 კოდით გამოყოფილი აქვს თანხა ტურიზმის ხელშეწყობისთვის.<br><br>აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დაფინანსება[34]. | 0.1% | 0.24% |

28 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 21 ნოემბერის ბრძანება №1-1/642 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/3438759?publication=6

29 საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 2244429?publication=41

30 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=9

31 https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476?publication=12

32 https://matsne.gov.ge/document/view/3438759?publication=6

33 საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 2244429?publication=41

34 DMO-ს მიზანი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაციაა. ასევე, DMO ჩაატარებს რეგიონში ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზსა და ახალ მიდგომებს დანერგავს, რაც რეგიონის ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს. http://szs.gov.ge/geo/news/show/10/2005

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | რაიმე ტიპის აკრძალვა ტურიზმის სფეროში, მუნიციპალიტეტისთვის არ არსებობს. გარდა იმისა, რაც განსაზღვრულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზნებითა და ამოცანებით.<br>ტურიზმის სფეროში (გარდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დაგეგმვისა) არ არსებობს ხელისუფლების რომელიმე დონის ექსკლუზიური კომპეტენცია. ეს სფერო როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აძლევს პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ფართო შესაძლებლობებს. | | | | |
| 6. გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანი-ზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია) | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის გზებზე ხშირია ზვავები, პერიოდულად აქტიურდება მეწყერსაშიში ზონები, არასაკმარისი ტექნიკის გამო გვიანდება ან საერთოდ არ ხორციელდება გზების გაწმენდითი სამუშაოები, რაც აფერხებს მოსახლეობის გადაადგილებას, მათი საკვებითა და სხვა საშუალებებით მომარაგებას, დროულ სამედიცინო და სხვა სახის დახმარებას, ასევე, ამცირებს ეკონომიკური აქტივობების ინტენსიურობას. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა. სწორედ მუნიციპალიტეტია პასუხიმგებელი, რომ მოსახლეობა გზებზე გადაადგილდებოდეს უსაფრთხოდ, შეფერხებების გარეშე და კომფორტულად.<br>საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად. საერთო სარგებლობის გზებს მართავს ამ გზების მესაკუთრე, რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების, მოვლა-შენახვის სამუშაოებს.[35]<br>შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესაკუთრეა მუნიციპალიტეტი, სწორედ მის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება;[36] | კომპეტენციის განმახორციელებელი: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გზებზე - ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე - ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ[37], საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[38]. | 2019 წლის ბიუჯეტში, კონკრეტულად გზის გაწმენდისთვის თანხა არ არის გამოყოფილი, ამ მიმართულებით თანხების ხარჯვა, საჭიროებებიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს მერის სარეზერვო ფონდიდან ან დავალოს მესტიის მუნიციპალიტეტის შესაბამის ააიპ-ის. | 0 | 0 |

35 საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ https://matsne.gov.ge/document/view/28420?publication=19
36 საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
37 https://matsne.gov.ge/document/view/28420?publication=19
38 იგივე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7. სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები | პრობლემის არსი: სოფლის ცენტრები წარმოადგენს ამ სოფელში მოსახლე ადამიანების შეკრების ადგილს, ეს არის ადგილი, სადაც მოწყობილი უნდა იყოს შესაბამისი ინფასტრუქტურა ადამიანების დასვენებისა და გართობისთვის, ერთმანეთთან და გარესამყაროსთან კომუნიკაციისთვის. თუმცა როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში მოუწესრიგებელია სოფლის ცენტრები, ზოგან არ არსებობს გარე განათება, პარკები და სკვერები, სათამაშო მოედნები და სხვა გასართობი ინფრასტრუქტურა. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა. აღნიშნული კომპეტენციის ნაწილია სოფლის ცენტრების მოწესრიგებაც.[39] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[40]. | სოფლის ცენტრების კეთილმოწყობას 2019 წლის ბიუჯეტი მოიაზრებს, როგორც გარე განათების მოწყობას, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას (პროგრამული კოდი 03 02 01).მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ასევე, სოფლის ცენტრებში ახალი განათების ბოძების მოწყობა. | 0% | 0% |
| 8. შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობასთან | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი არ არის დაფარული ინტერნეტით, ასევე, მობილური კავშირგაბმულობის არხებით, პარარელურად არ არსებობს საკაბელო საკომუნიკაციო არხები. რთულდება მოსახლეობის კავშირი ერთმანეთთან და გარესამყაროსთან. ეს, ასევე, ხელს უშლის მუნიცპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, რადგან ჩვენს საუკუნეში წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე ეკონომიკის რომელიმე დარგის განვითარება. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს — ტურიზმის განვითარებას. | კომპეტენციის არსი: კავშირგაბმულობა მიეკუთვნება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.[41]<br>ამ უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს საკანონმდებლო რეგულაციები, თუმცა უშუალოდ მომხმარებლისთვის ინტერნეტის მიწოდება ხორციელდება ლიცენზიანტი კომპანიების საშუალებით. ამავდროულად საქართველოს მთავრობას დამტკიცებული აქვს პროგრამა „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" რომლის მიხედვითაც ეტაპობრივად გათვალისწინებულია საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტისთვის ინტერნეტის მიწოდების შესაძლებლობების გაჩენა.[42] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, "საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის № 806 განკარგულება. | | - | - |

[39] საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 2244429?publication=41
[40] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
[41] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
[42] https://matsne.gov.ge/document/view/3355632?publication=0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9. სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის ადგილის არქონა | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტში, იწარმოება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხელნაკეთი ნივთები, თუმცა ადგილზე არ არსებობს მისი რეალიზაციის შესაბამისი პირობები. საჯარო სექტორი ვერ ახორციელებს კერძო სექტორის შესაბამისი ინიციატივებით მხარდაჭერას. შესაბამისად, პროდუქციის მწარმოებელს თვითონ უწევს ბაზრების მოძიება, რაც მცირე მწარმოებლებისთვის საკმაოდ ძნელია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში საკამოდ დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება, აგრეთვე, მის ნებაყოფლობით კომპეტენციაში შედის დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა, ტურიზმის განვითარების პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[43] | მსგავსი პროგრამები/ქვეპროგრამები და ღონისძიებები მესტიის 2019 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. | 0% | 0% |
| 10. გარე განათების არარსებობა | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი გარე განათების სერვისით. რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის ღამის პერიოდში სოფლებში ფეხით გადაადგილებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლის ცენტრებთან და სხვა საჯარო სივრცეებთან მიმართებით. წარმოადგენს საფრთხეს როგორც ადგილზე მცხოვრები მოსახლოებისთვის, ასევე დასახლებების სტუმრებისთვის. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გარე განათების უზრუნველყოფა. რაც დაკავშირებულია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების უფლებასთან, მიიღონ აღნიშნული სერვისი. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[44] | ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური (პროგრამული კოდი 03 02 01) | 0.95% | 1.14% |

[43] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
[44] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11. მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა | პრობლემის არსი: რთული ლანდშაფტის გამო მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს და უშუალოდ ადმინისტრაციულ ცენტრს, დაბა მესტიას. არ არის ხელმისაწვდომი ტრანსპორტი, რაც ქმნის გადაადგილების პრობლემას. კერძო, მუნიციპალური, ასევე, ცენტრალური საჯარო სერვისები, ისეთები, როგორებიცაა: ბაზარი, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმწოდებლები განთავსებული არიან დაბა მესტიაში. შესაბამისად, სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ მწვავე საჭიროება დაუკავშირდნენ ადმინისტრაციულ ცენტრს, ეს პრობლემა ასევე ამცირებს ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობასა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა და მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება.[45]<br>აღნიშნული ჩანაწერი მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას შექმნას საკუთარი სატრანსპორტო მომსახურების კომპანია ან/და გასცეს ნებართვები კონკრეტულ მიმართულებებზე. საკუთარი კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნის მიმართულებით მას საკანონმდებლო ბარიერები არ აქვს და თავისუფლად შეუძლია აღნიშნული მომსახურების გაწევა, ხოლო რაც შეეხება ნებართვების გაცემას, აქ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო ბარიერები, რაც მხოლოდ თვითმმართველ ქალაქს აძლევს აღნიშნული ფორმით მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების საშუალებას.[46] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[47], საქართველოს კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ.[48]<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო. | მსგავსი პროგრამები/ქვეპროგრამები და ღონისძიებები მესტიის 2019 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. | 0 | 0 |
| 12. საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის რთული რელიეფის გამო მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების მცხოვრებლებისთვის საკმაოდ შეზღუდული რესურსია სასოფლო სამეურნეო სავარგულები და საძოვრები. ფაქტობრივად, მათი შემოსავლის უდიდეს ნაწილი სწორედ აღნიშნული შეზღუდული რესურსის გამოყენებით ფორმირდება. | კომპეტენციის არსი: მესტიაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. რაც იმას ნიშნავს, რომ ის არის ერთადერთი პასუხისმგებელი ამ პრობლემის მოგვარებაზე. მუნიციპალიტეტი თანაბრად არის პასუხისმგებელი ეტაპობრივად განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლებაში.[49] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი. | კომპეტენციის წილი 2019 წლის ბიუჯეტში: მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (კოდი 03 00) წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ერთ-ერთ ქვეპროგრამას შეადგენს მუნიციპალიტეტის გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01) | 0 | 0 |

45 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
46 საქართველოს კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ- https://matsne.gov.ge/document/view/28510?publication=31
47 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
48 https://matsne.gov.ge/document/view/28510?publication=31
49 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დღეის მდგომარეობით სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ადამიანები ვერ იყენებენ აღნიშნულ სავარგულებს იმ მიზეზით, რომ არ არსებობს ან ძალიან დაზიანებულია სავარგულებამდე მისასვლელი გზები | მესტიის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია მესტიაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კონკრეტული სიგრძეები სოფლების მიხედვით[50] | კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“[51], საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“[52], მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ზუსტი ნუსხის დამტკიცების შესახებ“. | | | |
| 13. საზოგადოებ-რივი საპირფარეშოების არარსებობა. | პრობლემის არსი: საზოგადოებრივი საპირფარეშოების პრობლემა ძირითადად უკავშირდება სოფლის ცენტრებში, ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილების მიმდებარედ და სხვა საჯარო სივრცეებში ამ სერვისის არარსებობას. გაზრდილი ტურისტული ნაკადებისთვის საზოგადოებრივი საპირფარეშოები წარმოადგენს პირველად და აუცილებელ საჭიროებას. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, ამასთან ერთად ტურიზმის მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობით უფლებამოსილებას წარმოადგენს.[53] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[54] | მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში, საპირფარეშოს აშენებაზე საუბარია მხოლოდ ქვეპროგრამის _ დასუფთავება და კეთილმოწყობა (ორგანიზაციის კოდი 03 02 02) _ მიმართულებით, თუმცა არ კონკრეტდება ადგილმდებარეობა და ბიუჯეტი. | 0 | 0 |
| 14. საბანკო სერვისების არარსებობა (კერძო სერვისი) | | | აღნიშნული კომპეტენცია ვერ ექცევა საჯარო სფეროში, კონკრეტული ბანკების მენჯმენტში დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას სად როგორი ფორმით (ბანკომატი, სერვისცენტრი, მობილური სერვისცენტრი) მოემსახურონ მომხმარებლებს. თუმცა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, თუ მოსახლეობის ინტერესია, შუამდგომლობა გასწიოს საბანკო სექტორთან, შესთავაზოს მას კონკრეტული პირობები, იმისათვის, რომ მოსახლოებისთვის ეს სერვისი ხელმისაწვდომი იყოს. | | - | - |
| 15. საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა | | | აღნიშნული კომპეტენცია ვერ ექცევა საჯარო სფეროში და წარმოადგენს კერძო სფეროს. მუნიციპალიტეტი სოციალური მხარდაჭერის ნაწილში უფლებამოსილია დახმარება გაუწიოს ცალკეულ სოციალური მხადაჭერის საჭიროების მქონე ჯგუფებს, მაგრამ ძირითადად ეს სერვისი კერძო სექტორმა უნდა უზრუნველყოს. მუნიციპალიტეტის მოვალება მხოლოდ მისასვლელი გზების კეთილმოწყობითა და სხვა მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარებით გამოიხატება. | | - | - |

50 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1860767?publication=0
51 იგივე
52 https://matsne.gov.ge/document/view/28420?publication=19
53 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
54 იგივე

### 3.1.3. ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები

***ცხრილი 3.1.4.*** *ინფრასტრუქტურისა და ძირითადი სოციალური სერვისების მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით*

| პრიო-რიტეტი | პრობლემები | მონაწილეობის მექანიზმები/გადაწყვეტის სხვა ფორმები |
|---|---|---|
| 1 | დაზიანებული და მოძველებული ელექტროენერგიის ბოძები და სადენები | 1. მოსახლეობა წერილობით მიმართავს კომპანია „ელექტრო-პროს" (ელექტროენერგია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია" მისამართი: ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩა №198 ტელ: 2 47 17 07);<br>2. ენერგეტიკის სფეროში მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი. შესაძლებელია შედგეს წერილობითი მიმართვა მის სახელზე (+995 322) 2 42 01 90; ცხელი ხაზი 16 216. |
| 2 | კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 3 | სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 4 | სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის |
| 5 | ტურისტული ინფრას-ტრუქტურის გაუმარ-თავობა და შეთავა-ზებული სერვისების დაბალი ხარისხი | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომ–ზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 6 | გზის გამჭრელი-გამ-წმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაო-დენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია) | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 8 | შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობაზე | 1. მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შეუამდგომლობის წერილის მომზადება;<br>2. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისთვის მიმართვა;<br>3. წერილობითი მიმართვა ან სატელეფონო კომუნიკაცია კომპანია „ოუფენ ნეტთან“, ანატოლი სობჩაკის ქუჩა N3 / თაბუკაშვილის ქუჩა N5, თბილისი 0105, საქართველო 032 240 01 78 office@opennet.ge;<br>4. სპეციალური საჩივრის შევსება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდის აღნიშნულ ლინკზე http://www.gncc.ge/ge/sachivris-gagzavna ან დაკონტაქტება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურთან. კითხვების თა-ობაზე დარეკეთ: 2 399505, 2 311545 |
| 9 | სოფელში წარმოე-ბული პროდუქციის რეალიზაციისთვის ადგილის არქონა | 1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>2. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>3. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 10 | გარე განათების არარსებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 11 | მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 12 | საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის |
| 13 | საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 14 | საბანკო სერვისების არარსებობა | 1. მუნიციპალიტეტის მერის სახელით შუამდგომლობის წერილის მომზადება და შესაბამისი კომპანიებისთვის დაგზავნა. |
| 15 | საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა | 1. მუნიციპალიტეტის მერის სახლზე წერილის მომზადება;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა, ოქმის შედგენა. |

# განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა

## 3.2 განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვა

მესტიის მუნიციპალეტეტში ყველაზე მეტი თანხა იხარჯება ინფრასტრუქტურის მიმართულებით, შემდეგ მსხვილ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები მოცემულ სფეროებშიც საკმაოდ მრავლად გვხვდება, რაც განაპირობებს მათ პრიორიტეტულობას.

განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები დადგენილია ორგანული კანონით და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს[55]:

ა) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;

ვ) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

თუმცა მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული მხოლოდ ზემოდჩამოთვლილი კომპეტენციებით. მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერისა და სხვა მიზნებით. ასევე, ყველა იმ მიმართულებით, რომელიც არ შედის სხვა ორგანოს უფლებამოსილებებში და, ამასთანავე, არ არის აკრძალული მუნიციპალიტეტებისთვის.

### 3.2.1. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვის საკითხების დაფინანსებისთვის საბიუჯეტო წყაროების გამოკვეთა (ცენტრალური და ადგილობრივი)

2019-2022 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:[56]

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით, კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობის მიმართულება მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ამოცანებსა და აქტივობებს:

- დაგეგმილია მესტიის ცენტრში არსებული პარკის მოვლა-პატრონობა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, თამარ მეფის ქუჩაზე, „ლიბერთი ბანკის" მიმდებარედ, არსებული სკვერის გალამაზება და საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება. რაც იქნება კეთილმოწყობილი დასასვენებელი პარკების არსებობის წინაპირობა;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშო ბაღების, სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია;
- მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ასევე სკოლამდელ განათლებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს

55 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

56 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

წარმოადგენს. განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, რითაც გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებში განათლების მიღების დონე და პირობები. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 23 ბაღი, სადაც განათლებას იღებს 502 ბავშვი. იგეგმება ორი საბავშო ბაღის გახსნა;

- პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათ შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება. რის შედეგადაც მოსწავლეებში გაიზრდება წიგნიერების დონე, სპორტულ სფეროში მათი მონაწილეობა და შეიქმნება კულტურის დარგების შენარჩუნება/განვითარების შესაძლებლობები;
- განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობები, წაახალისონ სპორტსმენები. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ემსახურება ახალგაზრობის მაქსიმალურ ჩართვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი პირობების შექმნას;
- მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ხუთი სახლი, ორი სასოფლო კლუბი, ახალგაზრდული ცენტრი „ბეთქილი", ორი სახელობითი მუზეუმი, სამი ფოლკლორული ანსამბლი: „რიჰო", „ლატალი",ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი „ბეთქილი";
- ბიბლიოთეკების დაფინანსება მიზნად ისახავს მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას. ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით მათ უზრუნველყოფას, ხელსაყრელი პირობების შექმნით პიროვნების შემოქმედებით განვითარებას. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურებას. საბავშვო ან ზრდასრულთათვის განკუთვნილ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობას. მომდევნო წელს დაგეგმილია: კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზის გაკეთება, რაც მკითხველის მოზიდვას გამოიწვევს; საცავის რეაბილიტაცია, სადაც განლაგებულია ფონდი. ახალი ბეჭდური პროდუქციის შექმნა. მთავარი ბიბლიოთეკის ფონდის ე ლექტრონულ ფორმატზე გადასვლა;
- პრიორიტეტი ასევე მოიცავს ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას შემეცნებით–ინტელექტუალურ კონკურსებში მონაწილეობით, სტუდენტების განათლების მიღების ხელშეწყობას პირველკურსელთა თანადაფინანსებით, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას გასართობ, სახალისო სპორტულ თამაშებში. ტარდება ღონისძიებები, მათ შორის: არქიტექტორთა სემინარი–შეჯიბრი, სასკოლო ოლიმპიადა, კონკურსი „ინტელექტი", ახალგაზრდული ბანაკების აქტივობები, ეტალონი მედია, სიცოცხლის ფესტივალი. აღნიშნული პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა თაობის მრ ავალმხრივ განათლებასა და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებას;
- მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ფუნქციონირებს ა.ა.იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი", რომელიც მოემსახურება კულტურული ძეგლების აღრიცხვასა და რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას;
- ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც გაგრძელდება ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის შესაბამისად.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში კულტურას, განათლებას, ჯანდაცვას, სპორტსა და ახალგაზრდობის მიმართულებას შეესაბამება: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00), მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (03 03), განათლება (04 00), კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00). რაც შემდეგ ჩაშლილია ქვეპროგრამებად, თუმცა ამ პროგრამებში არსებული ზოგიერთი ქვეპროგრამა მოიცავს სხვა საკითხებსაც.

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) განსაზღვრულია 20 793 800 ლარით, საიდანაც 1 681 700 ლარი, ანუ მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 8.1%-ი, მიემართება განათლების მიმართულებით, 1 755 600 ლარი, ანუ მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 8.4%-ი, მიემართება კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით, ხოლო 976 000 ლარი, ანუ მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 4.7%-ი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით.

**ცხრილი 3.2.1** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: განათლების კომპონენტი ინფრასტრუქტურის მიმართულებაში*[57]

| პროგრამული კოდი | ქვე-მიმართულება | გამოყოფილი თანხა[58] | განათლების კომპონენტის % წილი ინფრასტრუქტურის მიმართულებაში | ამ მიმართულებით განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობა[59] |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | | | | |
| 03 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 3 905 400 | 31.1% | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშო ბაღების, სპორტდარბაზების რეაბილიტაცია, დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის სარეაბილიტაციაში დახმარების გაწევა მოსახლეობისთვის. |

**ცხრილი 3.2.2** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: განათლების მიმართულება*[60]

| პროგრამული კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა[61] | მთლიანი განათლების ბიუჯეტის % წილი | ამ მიმართულებით განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობა[62] |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 1 681 700 | მოიცავს:<br>• 04 01<br>• 04 04 | მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ასევე სკოლამდელ განათლებას ენიჭება, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 1 020 000 | 60.7% | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებისათვის ყველა ხარჯს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის ხელფასებს, ბავშვების კვებისა და სხვა ხარჯებს.<br>აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.<br>პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხისა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად. |
| 04 04 | საჯარო სკოლების თანადაფინანსება | 646 700 | 38.5% | |

[57] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[58] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[59] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

[60] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[61] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[62] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

2019 წელს, კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით 1 755 600 ლარი დაიხარჯა ოთხი (4) ძირითადი მიმართულებით (იხილეთ გრაფი #4).

1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 662,000 ლარი
2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 698,700 ლარი
   - კულტურისა და ხელოვნების ცენტრი – 620,400 ლარი
   - ბიბლიოთეკა – 78,300 ლარი
3. ახალგაზრდული პროგრამები – 182,200 ლარი
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი – 212,700 ლარი

**გრაფი 4.** *კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯული ბიუჯეტი*




**ცხრილი 3.2.3** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები*[63]

| პროგრამული კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა[64] | მთლიანი კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ბიუჯეტის % წილი | ამ მიმართულებით განხორციელებული/ დაგეგმილი აქტივობა[65] |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1 755 600 | მოიცავს:<br>• 05 01<br>• 05 02<br>• 05 03<br>• 05 04<br>• 05 05<br>• 05 06 | მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებასაც შეეწყოს. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება. |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 662000 | მოიცავს:<br>• 05 01 01 | |

[63] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[64] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[65] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 01 01 | ა (ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი | 662000 | 37.7% | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა, სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები ემსახურება ახალგაზრობის მაქსიმალურ ჩართვას სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებისათვის სპორტული, გამაჯანსაღებელი პირობების შექმნას.<br>პროგრამის ფარგლებში იგეგმება შემდეგი ტურნირების ჩატარება:<br>მუხრან შუკვანის სახელობისტურნირი; მიხეილ ხერგიანის სახელობის ტურნირი. |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 698700 | მოიცავს:<br>• 05 02 01<br>• 05 06<br>• 05 02 04<br>• 05 02 05 | |
| 05 02 01 | ა (ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური | 0 | 0% | |
| 05 06 | ა.ა.იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ | 618 000 | 35.3% | მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის ხუთი სახლი, ორი სასოფლო კლუბი, ახალგაზრდული ცენტრი „ბეთქილი“, ორი სახელობითი მუზეუმი, სამი ფოლკლორული ანსამბლი: „რიჰო“, „ლატალი“, ახალგაზრდული ფოლკლორული ჯგუფი „ბეთქილი“.<br>ქვეპროგრამის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ზიარებისთვის თანაბარი პირობების შექმნა. ხელოვნების სკოლის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარებისთვის თანაბარი პირობების შექმნა;<br>ააიპ-ი განახორციელებს: თეატრალურ წარმოდგენებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგების (საფორტეპიანოს), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ფოლკლორის სწავლებას).<br>ორგანიზაცია გეგმავს შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას: საახალწლო ღონისძიება, 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი ღონისძიება, 3 მარტს დედის დღისთვის მიძღვნილი ღონისძიება, „სვანეთობა“. |
| 05 02 04 | ა (ა )იპ მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა | 78 300 | 4.5% | ბიბლიოთეკების დაფინანსება მიზნად ისახავს მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას. ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით მათ უზრუნველყოფას. ხელსაყრელი პირობებით პიროვნების შემოქმედებით განვითარებას. მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურებას. საბავშვო ან ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მიოწყობას. დაგეგმილია: კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზის გაკეთება, რაც მკითხველის მოზიდვას გამოიწვევს, საცავის რეაბილიტაცია, სადაც განლაგებულია ფონდი. ახალი ბეჭდური პროდუქციის შექმნა. მთავარი ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 02 05 | ა (ა )იპ მხატვარი ძმების - ირაკლი, მარატ და გოვენ ფარჯიანების თანამედროვე ხელოვნების მემორიალური სახლ -მუზეუმი | 0 | 0% | |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 182 200 | 10.4% | პროგრამა უზრუნველყოფს: ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებას შემეცნებით–ინტელექტუალურ კონკურსებში მონაწილეობით, სტუდენტების განათლების მიღების ხელშეწყობას პირველკურსელთა თანადაფინანსებით, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას გასართობ სახალისო სპორტულ თამაშებში, ტარდება ღონისძიებები, მათ შორის: არქიტექტორთა სემინარი შეჯიბრი, სასკოლო ოლიმპიადა, კონკურსი „ინტელექტი“, ახალგაზრდულ ბანაკებში ახალგაზრდების ჩართვა, ეტალონი - მედია, სიცოცხლის ფესტივალი.<br>აღნიშნული პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა თაობის მრავალმხრივ განათლებასა და ზოგადი უნარების ჩამოყალიბებას. |
| 05 04 | თეატრისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 0 | 0% | |
| 05 05 | ა.ა.იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის“ დაფინანსება | 212 700 | 12.1% | აღნიშნული ქვეპროგრამა ემსახურება კულტურული ძეგლების აღრიცხვასა და რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. |

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 976 000 ლარი დაიხარჯა **ოთხი (4)** ძირითადი მიმართულებით (იხილეთ გრაფი #5).

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 71,800 ლარი
2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა - 210,000.00 ლარი
    - მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა - 26,000 ლარი
    - გაჭირვებულ ოჯახთა ერჯერადი დახმარებები - 174,000 ლარი
    - ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა - 10,000 ლარი
3. მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 187,000 ლარი
4. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება - 507,200 ლარი

**გრაფი 5.** *მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დახარჯული ბიუჯეტი*



***ცხრილი 3.2.4*** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა* [66]

| პროგრამული კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა[67] | მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტის % წილი | ამ მიმართულებით განხორციელებული/ დაგეგმილი აქტივობა[68] |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელო-ბის დაცვა და სო-ციალური უზრუნ-ველყოფა | 906 000 | მოიცავს:<br>• 06 01<br>• 06 02<br>• 06 03<br>• 06 04 | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახ-ლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და სიტუაციების მონიტორინ-გი და რეაგირება; საზოგადოებრივი ჯან-დაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლე-ობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრ-თელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეე-ბისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგო-მარეობს.<br>პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახ-ლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექ-ციებისაგან, მოსახლეობის დაცვა ანტირაბიუ-ლი ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატების ადგი-ლობრივი სტრატეგიული მარაგების შექმნა. |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 71 800 | 7,4% | პროგრამით გათვალისწინებული მომსახურე-ბა მოიცავს: იმუნიზაციის განსახორციელებ-ლად ანტირაბიული სამკურნალო-პროფილაქ-ტიკური საშუალებების, სპეციფიკური შრატები-სა და ასაცრელი მასალის შენახვას, გაცემა-გა-ნაწილებას. |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 210000 | მოიცავს:<br>• 06 02 01<br>• 06 02 02<br>• 06 02 03 | |
| 06 02 01 | მარჩენალდაკარ-გულთა სოციალუ-რი დაცვა | 26000 | 2,7% | |
| 06 02 02 | გაჭირვებულ ოჯახ-თა ერთჯერადი დახმარებები | 174000 | 17,8% | |
| 06 02 03 | ვეტერანთა (ხანდაზმულთა) სოციალური დაცვა | 10000 | 1,0% | |
| 06 03 | მესტიის მუნიციპა-ლიტეტის ოჯახე-ბისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 187000 | 19,2% | |
| 06 04 | სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმა-რება | 507200 | 52,0% | |

[66] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[67] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

[68] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

### 3.2.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვის საქმეთა მიმართულებით

კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში გამოვლინდა 12 ძირითადი პრობლემა, რომელიც დაჯგუფდა 7 მიმართულებით. (იხილეთ ცხრილი 3.2.5):

აქედან **მხოლოდ** ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება **ოთხი (4)** პრობლემის (1. საბავშვო ბაღების სერვისების არარსებობა; 2. კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა; 3. საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა; 4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა) მოგვარება.

**როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციიაა **ორი (2)** პრობლემის (1. დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ინფრასტრუქტურა); 2. პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი) მოგვარება.

**მხოლოდ** ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება **ერთი (1)** პრობლემის (1. ავარიული და ძველი სასკოლო ინფრასტრუქტურა ან/და სკოლის არარსებობა) მოგვარება.

კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით, მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი **შვიდი (7)** პრიორიტეტული პრობლემიდან, ექვსი (6) პრობლემის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, აღნიშნული **ექვსი (6)** პრობლემიდან, **ორი (2)** პრობლემის (1. კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა; 2. დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) მოგვარება იყო გათვალისწინებული.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული **ოთხი (4)** პრობლემის (1. საბავშვო ბაღების სერვისის არარსებობა; 2. პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი; 3. საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა; 4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა) მოგვარებისთვის 2019 წლის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი გათვალისწინებული არ იყო.

***ცხრილი 3.2.5.*** *მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით*

| პრიორიტეტი | პრობლემა |
|---|---|
| 1 | კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა |
| 2 | სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა |
| 3 | დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ინფრასტრუქტურა) |
| 4 | პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი |
| 5 | ავარიული და ძველი სასკოლო ინფრასტრუქტურა ან/და სკოლის არარსებობა |
| 6 | საბავშვო ბაღების სერვისის არარსებობა |
| 7 | საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა |

***ცხრილი 3.2.6.*** *პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და* ***განათლების*** *მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი /მარეგული-რებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდე-ლების (ასიგ-ნებების) % | განათლების მიმართულე-ბით გამოყო-ფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავარიული და ძველი სასკო-ლო ინფრასტ-რუქტურა ან/და სკოლის არარ-სებობა | პრობლემის არსი: მუნიციპა-ლიტეტის სოფლების ნაწილ-ში არ არის საჯარო სკოლები, შესაბამისად, ამ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლე-ებს უწევთ მათი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრში არ-სებულ სკოლებში სიარული. რაც მძიმე ხდება ხოლმე რთულ მეტეოროლოგიურ პირობებსა და უგზოობაში. ხოლო საჯარო სკოლების დიდი ნაწილი არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, სადაც მოსწავლე-ებს ექნებოდათ სწავლისთვის საჭირო მინიმალური გარემო. სკოლები საჭიროებს კაპიტა-ლურ რემონტს და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრი-გებას. | კომპეტენციის არსი: საქართველო-ში დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა, ეს უფლებაც კონ-სტიტუციური რანგისაა, „დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებუ-ლოა. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფი-ნანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსე-ბით მიიღონ პროფესიული და უმაღ-ლესი განათლება“[69] შესაბამისად, სავალდებულო კომპონენტის შემო-ტანა სახელმწიფოს ავალდებულებს ყველას, მიუხედავად მისი საცხოვ-რებელი ადგილისა, შეუქმნას განათ-ლების მიღების შესაბამისი პირობა. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება, კერძოდ, საქართველოს განათლე-ბის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინის-ტრო და მის მმართველობაში არსებული სსიპ საგან-მანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.[70]<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართვე-ლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბერის ბრძანება №225/ნ „საჯარო სა-მართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მე-რია (მხოლოდ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში). | არ ფინანსდება მუნიცი-პალური ბიუჯეტიდან | | |

[69] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

70 სახელმწიფო უზრუნველყოფს:
ა) ზოგადი განათლების ღიაობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;
დ) ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისა და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;
ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას;
ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას;
ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;
თ) ინკლუზიური განათლების დანერგვას;
ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.
საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2019 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში (ხელშეკრულებით დელეგირებული) გადავიდა საჯარო სკოლების მცირე სარემონტო სამუშაოების წარმოებისა და მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირების საკითხები. ყველა დანარჩენი საკითხი: ახალი სკოლების მშენებლობა, მათი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აღჭურვა, კაპიტალური რემონტი, ისევ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება. | | | | |
| 2. საბავშვო ბაღების სერვისის არარსებობა | მუნიციპალიტეტში არის 156 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 16 თემში. სოფლების ნაწილში არ არის საბავშვო ბაღი და კონკრეტული სოფლის მცხოვრები ბავშვები ამ სერვისის გარეშე არიან დარეჩენილი. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 23 ბაღი, სადაც განათლებას იღებს 502 ბავშვი. მუნიციპალიტეტი დამატებით მხოლოდ 2 საბავშვო ბაღის დამატებას აპირებს. | მუნიციპალიტეტის საკუთარ კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;[71]<br>რაც წარმოშობს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბაღის ასაკს მიღწეული ყველა პირისთვის, თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი საბავშვო ბაღის სერვისი. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.[72] | მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი განათლების დაფინანსებისთვის გამოყოფილია კოდი 04 01. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამით - კოდი 03 03, იგეგმება სოფ. ცხუმარის ბაღის მშენებლობა, სოფ. ლატალის ბაღის რეაბილიტაცია, იფარის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. | კონკრეტული ბაღების მიხედვით ვერ იდენტიფიცირდება | |

[71] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

[72] იგივე

**ცხრილი 3.2.7** *პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახ-დელების (ასიგნებების) % | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა | მუნიციპალიტეტში, თემებში მცხოვრებთა შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების არსებობობას. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ცენტრები ან არ არსებობს, ან თუ არსებობს ვერ ასრულებს თავს დანიშნულებას, რადგან არ არის შესაბამისი ტექნიკითა და რესურსებით აღჭურვილი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცენტრები ძირითადად კონცენტრირებულია ადმინისტრაციულ ცენტრში (დაბა მესტია) | მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა, ასევე, მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობით უფლებამოსილებას წარმოადგენს საზოგადოებრივი განათლების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, საკუთარ მოსახლეობას შეუქმნას პირობები ისარგებლონ კულტურულ-საგანმანათლებლო სერვისებით.[73] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.[74]<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი | 2019 წლის ბიუჯეტში აღნიშნულ კომპეტენციას შეესაბამება პროგრამა 05 02 - კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 3.4%, | 39.8 % |

[73] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

[74] იგივე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადი-ციული საცხოვ-რებელი და სამეურნეო ინფრა-სტრუქტურა) | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილია უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის მქონე ძეგლი, ასევე, არის კატეგორია, რომელიც არ არის აღწერილი. გამოვლენილ ძეგლებთან მიმართებით საჭიროა შეიქმნას აღნიშნული ძეგლების დაცვის მაღალი გარანტიები. ზუსტად აღირიცხოს და მომავალ თაობებს შეუნარჩუნდეს ის ძეგლები, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღწერილი და შეფასებული. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში შედის ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია.[75] ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის ძეგლებს მეთვალყურეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.<br>კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონი კიდევ უფრო აკონკრეტებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ამ სფეროში. მუნიციპალიტეტები:<br>• უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, აღწერასა და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას;<br>• ზრუნავენ მის მოვლა-პატრონობაზე;<br>• შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;<br>• სამინისტროს აწვდიან ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ.<br>• კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;[76] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მუნიციპალიტეტის მერი. | 2019 წლის ბიუჯეტში, ა(ა)იპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებას ეკუთვნის პროგრამული კოდი - 05 05. | 1 %. | 12.1% |

[75] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
[76] საქართველოს კანონი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“https://matsne.gov.ge/document/view/21076?publication=13

**ცხრილი 3.2.8** *პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/ მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) % | ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტი მოიცავს 156 სოფელს, სოფლის მცხოვრებლებისთვის საკმაოდ რთულია ისარგებლონ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, აღნიშნულს განაპირობებს მუნიციპალიტეტში რთული მეტეოროლოგიური პირობები, სოფლებს შორის და ადმინისტრაციულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზების მდგომარეობა, მუნიციპალიტეტის ლანდშაფტი. რეალურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს მხოლოდ გადაუდებელი ჯანდაცვის სერვისებით, სხვა სერვისები მათთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, რადგან მუნიციპალიტეტის სოფლები მთიან რელიეფზე არის განთავსებული, ხშირად რთულდება ეფექტიანი სასწრაფო სამედიცინო სერვისის მიწოდებაც. | კომპეტენციის არსი: ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მიერ აყვანილია კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა რანგში „მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას“[77].<br><br>ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე შეიმუშავებს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს.[78]<br><br>სამინისტროს საქმიანობის სფეროებია: მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია; ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა; სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება;[79] | კომპეტენციის განამახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება<br><br>კომპეტენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბერის №473 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“. | არ ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან | 0 | 0 |

77 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
78 საქართველოს კანონი, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ - https://matsne.gov.ge/document/view/29980?publication=42
79 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბერის №473 დადგენილება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ -

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწრაფო სამედიცინო სამსახური არ არის აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკითა და საშუალებებით, რომლებითაც გაიოლდებოდა და ხელმისაწვდომი გახდებოდა ეს სერვისი ყველასთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. | პირველადი ჯანდაცვის სისტემა მთლიანად ცენტრალიზებულია, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, მათ შორის, საოჯახო მედიცინის, განვითარებისათვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზასა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის წესს შეიმუშავებს სამინისტრო.[80]<br>მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ახორციელებს.<br>ჯანდაცვის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია (მხოლოდ დელეგირებული) განისაზღვრება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით. „საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად იქმნება ქალაქებისა და რაიონების საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომელთა მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სამინისტრო. | კომპეტენციის განმახორციელებელი სახელმწიფო ხელისუფლების უწყებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის მერია. | | | |

[80] საქართველოს კანონი, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" - https://matsne.gov.ge/document/view/29980?publication=42

***ცხრილი 3.2.9*** *პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების)% | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის სოფლებში თითქმის არ ვითარდება, საბავშვო გასართობი და სარეკრეაციო სივრცეები. ასევე, სოფლებში ნაკლებად ვითარდება პარკებისა და სკვერების ინფრასტრუქტურა. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა.[81] ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, საკუთარ მცხოვრებლებს შესთავაზოს აღნიშნული სერვისი მიუხედავად იმისა, ისინი ცხოვრობენ სოფლად, თუ ქალაქად. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს „ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი."[82]<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი. | მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში 03 03 კოდით იდენტიფიცირებულია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ქვეპროგრამა, რომლის დაფინანსება ერთ-ერთი ყველზე მაღალია, თუმცა ამ თანხებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია მიმართული პარკებისა და სკვერების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის. ისიც მხოლოდ დაბა მესტიაში და არა სასოფლო დასახლებებში. | კონკრეტული ობიექტების მიხედვით ვერ იდენტიფიცირდება | 0 |
| 2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა | პრობლემის არსი:<br>მუნიციპალიტეტის სოფლებში განსაკუთრებით საგრძნობია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ნაკლებობა, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემდა დაკავდნენ სპორტული ცხოვრებით და მისდიონ ცხოვრების ჯანსაღ წესს. | კომპეტენციის არსი: მუნიციპალტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა[83]. კანონის აღნიშნული ჩანაწერი მუნიციპალიტეტს ავალდებულებს, საკუთარ მოსახლეობას შეუქმნას შესაბამისი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა და მიაწდოს მას აღნიშნული სერვისი. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ადგილობრივი ხელისუფლება.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერი. | მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში 03 03 კოდით იდენტიფიცირებულია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ქვეპროგრამა, რომლის დაფინანსება ერთ-ერთი ყველზე მაღალია. ამ პროგრამაში სხვა ობიექტებთან ერთად გათვალისწინებულია სოფ. ეცერსა და ხაიშში ხელოვნური საფარის მოწყობა, ფარი, ნაკრა,ხაიში, ლენჯერის სპორტ-დარბაზების რეაბილიტაცია, მულახის მრავალფუნქციური შენობის რეაბილიტაცია, მუზეუმის რეაბილიტაცია, ხაიშის სპორტ-დარბაზის რეაბილიტაცია. | არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ობიექტების მიხედვით | არ არის იდენტიფიცირებული კონკრეტული ობიექტების მიხედვით |

[81] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41
[82] იგივე
[83] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

## 3.2.3. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ჯანდაცვის საქმეთა მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები

***ცხრილი 3.2.10.** კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით.*

| პრიორი-ტეტი | პრობლემები | მონაწილეობის მექანიზმები/გადაწყვეტის სხვა ფორმები |
|---|---|---|
| 1 | კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის-თვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობი-თი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 2 | სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/ სივრცეების ნაკლებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 3 | დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადიციული საცხოვრებელი და სა-მეურნეო ინფრასტრუქტურა) | მიმართვის მომზადება სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაც-ვის ეროვნული სააგენტოს სახელზე. |
| 4 | პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი | წერილით მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ან/და შუამდგომლობით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერს. თუ საკითხი გადაუდებელია სამინისტროსთან დაკავშირება შესაძლებელია ცხელი ხაზის მეშვეობით 15-05 |
| 5 | ავარიული და ძველი სასკოლო ინფრასტრუქტურა ან/და სკოლის არარსებობა | წერილით მიმართონ კონკრეტულ საჯარო სკოლას, საქართვე-ლოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სა-მინისტროს და მის მმართველობაში არსებული სსიპ საგანმა-ნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ან/და შუამდგომლობით მიმართონ მუნიციპალიტე-ტის მერს. |

| | | |
|---|---|---|
| 6 | საბავშვო ბაღების სერვისის არარსებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 7 | საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |

# გარემოს დაცვა

## 3.3 გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის მიმართულება არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, თუმცა აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული, მას შეუძლია გარემოს დაცვის მიმართულებებით ღონისძიებების განხორციელება. თუმცა არსებობს უფლებამოსილების განხორციელების ორი წინაპირობა: უფლებამოსილება არ უნდა შედიოდეს, სხვა ორგანოთა საკუთარ უფლებამოსილებაში და ამავდროულად არ უნდა იყოს აკრძალული მუნიციპალიტეტისთვის.

მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ღონისძიებები, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერისა და სხვა მიზნებით. ასევე, ყველა იმ მიმართულებით, რომელიც არ შედის სხვა ორგანოს უფლებამოსილებებში და, ამასთანავე, არ არის აკრძალული მუნიციპალიტეტებისთვის.

### 3.3.1. გარემოს დაცვის დაფინანსების საბიუჯეტო წყაროების გამოკვეთა (ცენტრალური და ადგილობრივი)

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტებში, არ ხვდება გარემოს დაცვის საკითხები, რადგან ის არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. თუმცა ცალკეულ პროგრამებში, ქვეპროგრამების სახით, გვხვდება, საკითხები, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვასაც.

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის მიმართულებით ხორციელდება დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამა, სადაც გათვალისწინებულია, რომ „მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრილია ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორიცაა: გარემოს დასუფთავება, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა. ასევე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე-სარწყავი არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია. იგეგმება ცხუმარის, ლატალისა და ეცერი-ებუთის ნაპირსამაგრი არხის მშენებლობა, სოფ. უშგულში, ჩვიბიანიშის მდინარეზე, ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა.[84]

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის მიმართულებას შეესაბამება პროგრამული კოდი 03 00, ხოლო უშუალოდ გარემოს დაცვისკენ მიმართულია 03 02 02 (ა (ა )იპ მესტია დასუფთავება) და 03 04 (სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია) ქვეპროგრამები .

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) განსაზღვრულია 20 793 880 ლარით, საიდანაც 1 831 500 ლარი (ჯამი 03 02 02 და 03 04 პროგრამული კოდების), ანუ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტის 14.6% და მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 8.8%, მიემართება ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებსაც გავლენა აქვს გარემოს დაცვის მიმართულებაზე. თუმცა აღნიშნულ ნაწილში რამდენი მიემართება უშუალოდ გარემოს დაცვის საკითხებს, ამის იდენტიფიცირება რთულია, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვისა და დაზუსტების გარეშე.

[84] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

*ცხრილი 3.3.1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: გარემოს დაცვის მიმართულება*[85]

| პროგრამული კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა[86] | მთლიანი ინფრასტრუქტურის ბიუჯეტის % წილი | ამ მიმართულებით განხორციელებული/ დაგეგმილი აქტივობა[87] |
|---|---|---|---|---|
| 03 02 02 | დასუფთავება და კეთილმოწყობა | 911 700 | 7.3 % | აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში საქმიანობას წარმართავს ა.ა.იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური", ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს მესტიის ცენტრში არსებული პარკის მოვლა-პატრონობა და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა, თამარ მეფის ქუჩაზე, „ლიბერთი ბანკის" მიმდებარედ, არსებული სკვერის გალამაზება და განახლება, საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება, ბორდიურების განახლება. |
| 03 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 919 800 | 7.3 % | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე-სარწყავი არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია. იგეგმება ცხუმარის, ლატალისა და ეცერი-ებუთის ნაპირსამაგრი არხის მშენებლობა, სოფ.უშგულში, ჩვიბიანიშის მდინარეზე, ნაპირსამაგრი გაბიონის მშენებლობა. |

## 3.3.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი გარემოს დაცვის მიმართულებით

გარემოს დაცვის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში გამოვლინდა 5 ძირითადი პრობლემა, რომელიც დაჯგუფდა 4 მიმართულებით. (იხილეთ ცხრილი 3.3.2):

აქედან **მხოლოდ** ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას **არცერთი** პრობლემა არ განეკუთვნება, **მხოლოდ** ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს **ერთი (1)** პრობლემა (1. რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე) მოგვარება.

როგორც **ადგილობრივი ასევე ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციაა **სამი (3)** პრობლემის (1. ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია; 2. სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები; 3. ხეტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება) მოგვარება.

გარემოს დაცვის მიმართულებით, მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი **ოთხი (4)** პრიორიტეტული პრობლემიდან, **სამი (3)** პრობლემის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, აღნიშნული **სამი (3)** პრობლემიდან, **ორი (2)** პრობლემის (1. ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია; 2. სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები) მოგვარება იყო გათვალისწინებული. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ერთი (1) პრობლემის (ხე-ტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება) მოგვარებისთვის, 2019 წლის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი გათვალისწინებული არ იყო.

გარემოს დაცვის მიმართულებით, დარჩენილია ერთი (1) პრობლემა (1. რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე), რომლის მოგვარება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება.

***ცხრილი 3.3.*** *მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები გარემოს დაცვის მიმართულებით*

| პრიორიტეტი | პრობლემა |
|---|---|
| 1 | ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია |
| 2 | სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები |
| 3 | ხეტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება |
| 4 | რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე |

85 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

86 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

87 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

***ცხრილი 3.3.3*** *პრობლემა, პრობლემისა და კოპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და გარემოს დაცვის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების)% | გარემოს დაცვის მიმართულებით ინფრასტრუქტურის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბუნებრივი კატასტროფები პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან გამომდინარე, მის ტერიტორიაზე გაზრდილია ზვავის, მეწყრისა და ღვარცოფის საშიშროება. ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე მდინარეების ადიდებასთან ერთად ეს საშიშროება კიდევ უფრო მატულობს და ემუქრება როგორც ადამიანების სიცოცხლესა და მათ საცხოვრებელს, ასევე სასოფლო - სამეურნეო სავარგულებს. | კომპეტენციის არსი: საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა,<br>კონსტიტუციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.“ | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება.<br>კომპეტენციის მარეგულირებელი: სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს კონსტიტუცია;<br>2. საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;<br>3. საქართველოს კანონი, „გარემოს დაცვის შესახებ“.<br><br>კომპეტენციის განმახორციელებელი სახელმწიფო ხელისუფლების უწყებები.[88]<br>გარემოს დაცვის მიმართულებით საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი | 919 800 | 4.4 % | 7.3% |

[88] 1. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმებია:
ა) გარემოსდაცვით ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები);
ბ) ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა (სახელმწიფო ან ადგილობრივი მნიშვნელობისა);
გ) გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბი (ტრანსსასაზღვრო, რეგიონთაშორისი, რეგიონული ან ლოკალური მნიშვნელობისა);
დ) დაცული ტერიტორიების დაქვემდებარების დონე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან მასთან ახლოს არ არსებობს მყარი ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემა, იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის სასოფლო დასახლებებიდან ნარჩენების გატანა არაორგანიზებულია, მოსახლეობა წარმოქმნის თვითნებურ ნაგავსაყრელს, სადაც სტიქიურად ათავსებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ არასაყოფაცხოვრებო ნარჩენს. ხშირია ნახერხითა და სხვა საწარმოო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევები, რაც რეაგირების გარეშეა დარჩენილი და შემდეგ აბინძურებს როგორც წყალს, ასევე ჰაერს. | კომპეტენციის არსი: საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა,<br>კონსტიტუციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.“[89] | კომპეტენციის განმახორციელებელი: ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ ნაწილით განსაზღვრული უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.[90]<br>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.[91]<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: 1. საქართველოს კონსტიტუცია; 2. საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“; 3. საქართველოს კანონი, „ნარჩენების მართვის შესახებ.“<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების/ან და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. | 911 700 | 4.4 % | 7.3% |

[89] საქართველოს კონსტიტუცია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

[90] საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=8

[91] საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3.ხეტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება | პრობლემის არსი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ტყის მასივებს, სადაც, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს მასობრივი და უკონტროლო ჩეხვა. შედეგად ზიანდება გარემო და ფართობების საკმაოდ დიდი ნაწილი გაუდაბნოების საფრთხის წინაშე დგება, გახშირებულია წყალმოვარდნა, გააქტიურებულია მეწყრული ზონები. | კომპეტენციის არსი: საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი."[92]<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მესტიის მუნიციპალიტეტის მერი | კომპეტენცია არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას და, შესაბამისად, მისი განხორციელებისთვის სახსრები არ არის გამოყოფილი მუნიციპალურ ბიუჯეტში | - | - |
| 4. რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა მობილური კომუნიკაციების კომპანიებს, დამონტაჟებული აქვთ გადამცემი ანძები, ასევე, სოფლებზე გადის ელექტროენერგიის მაღალი სიმძლავრის გადამცემი ხაზები. როგორც ცნობილია, როგორც ანძებს, ასევე ხაზებს გააჩნია მაღალი რადიაციული გამოსხივება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ადამიანებზე, ასევე ფლორასა და ფაუნაზე. | კომპეტენციის არსი: საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა.<br>1. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმებია:<br>ა) გარემოსდაცვით ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები);<br>ბ) ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა (სახელმწიფო ან ადგილობრივი მნიშვნელობისა);<br>გ) გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბი (ტრანსსასაზღვრო, რეგიონთაშორისი, რეგიონული ან ლოკალური მნიშვნელობისა);<br>დ) დაცული ტერიტორიების დაქვემდებარების დონე.[93]<br>გარემოს დაცვის მიმართულებით, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე პასუხისმგებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: ცენტრალური ხელისუფლება, კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მურნეობის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო | | - | - |

92

93 საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=25

## 3.3.3. გარემოს დაცვის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები

***ცხრილი 3.3.4.*** *გარემოს დაცვის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით*

| პრიორიტეტი | პრობლემები | მონაწილეობის მექანიზმები/გადაწყვეტის სხვა ფორმები |
|---|---|---|
| 1 | ბუნებრივი კატასტროფები პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია | 1. დასახლების საერთო კრება;<br>2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. |
| 2 | სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები | 1. საკრებულოსთვის პეტიციით მიმართვა;<br>2. დასახლების საერთო კრების გამართვა და ოქმის შედგენა;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფორმატში საკითხის ინიცირება;<br>4. საკრებულოს სხდომასა და საკრებულოს კომისიის განხილვებში მონაწილეობა;<br>5. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისთვის წინადადების მომზადება და მერისთვის წერილობითი მიმართვა;<br>6. ფრაქციებში საკითხის აქტუალიზება;<br>7. საკრებულოს წევრთან თანამშრომლობა საკითხის ინიცირებისთვის. |
| 3 | ხეტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება | მოსახლეობა წერილობით მიმართავს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. |
| 4 | რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე | მოთხოვნის გაკეთება, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, სსიპ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელზე, მდგომარეობის შეფასების მიზნით. |

# სოფლის მეურნეობა

# 3.4 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტის გაწერილი უფლებამოსილებები დადგენილი არ არის ორგანული კანონით, თუმცა კანონი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს[94]:

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით: შეუძლია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების მიზნით.

## 3.4.1 სოფლის მეურნეობის დაფინანსების საბიუჯეტო წყაროების გამოკვეთა (ცენტრალური და ადგილობრივი)

**სოფლის მხარდამჭერი პროგრამა**[95]

სოფლის მეურნეობის მიმართულებით მნიშვნელოვანია სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, პროექტების შერჩევაში მთავარ როლს მოსახლეობა ასრულებს[96]. აღნიშნულ პროგრამაში ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტები.

თანხის გამოყოფა – აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფა შემდეგი პრინციპით ხდება:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან—საქსტატიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (გარდა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების მოსახლეობისა), ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას[97]:

| | |
|---|---|
| 1 | დასახლებას, რომელშიც მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მცხოვრებს, გამოეყოფა 10 000 ლარი; |
| 2 | დასახლებას, რომელშიც მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400-მდე, გამოეყოფა 12 000 ლარი; |
| 3 | დასახლებას, რომელშიც მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000-მდე, გამოეყოფა 16 000 ლარი; |
| 4 | დასახლებას, რომელშიც მცხოვრებთა რაოდენობა აღემატება 1 000 -ხს, გამოეყოფა 20 000 ლარი. |

აღნიშნულ გაანგარიშებებს, მუნიციპალიტეტებისთვის გამოსაყოფი თანხების რაოდენობას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო ამზადებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს და დასამტკიცებლად წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას.

პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერი.

დასახლებაში პროექტის შერჩევა – დასახლებაში პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

**პირველ ეტაპზე** საპროექტო წინადადების ფორმა განთავსდება მუნიციპალიტეტის საიტზე. ნებისმიერ პირს (მიუხედავად მისი რეგისტრაციის ადგილისა, მოქალაქეობისა და ა.შ.) შეუძლია შეავსოს აღნიშნული ფორმა და წარადგინოს საკუთარი ინიციატივა მერიაში ან გადააგზავნოს ელექტრონულად.

94 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

95 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4435974?publication=2

96 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება No654 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4435974?publication=2

97 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4435974?publication=2

მიღებული საპროექტო წინადადებების საფუძველზე მერია ადგენს დასახლების საერთო კრებაზე/კონსულტაციაზე განსახილველი საპროექტო წინადადებების ჩამონათვალს.

**შემდეგ ეტაპზე** იმართება დასახლების საერთო კრება/კონსულტაცია:

| | |
|---|---|
| ა | დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500-ისა, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი; |
| ბ | დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000-მდე, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100-მა ამომრჩეველმა. ამომრჩევლებთან კონსულტაციების ორგანიზებას ახორციელებს მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი; |
| გ | დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000-ს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200-მა ამომრჩეველმა. ამომრჩევლებთან კონსულტაციების ორგანიზებას ახორციელებს მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. |

საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება დასახლებაში რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობის არანაკლებ 20%-ი. დასახლების კრების წევრად ითვლება დასახლებაში რეგისტრირებული ყველა ამომრჩეველი.

დასახლების საერთო კრებაზე საპროექტო წინადადების ყველა ავტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ეძლევა 10 წუთი თავისი ინიციატივის კრების წინაშე წარმოსადგენად, ამის შემდეგ აზრის გამოთქმა შეუძლია სხდომაზე დამსწრე ნებისმიერ პირს, რეგლამენტი 2 წუთია.

თუ კრების დროს გაჩნდა ახალი საპროექტო წინადადება, შესაძლოა მერიის მიერ მომზადებულ საპროექტო ჩამონათვალში შევიდეს ცვლილება და დაემატოს აღნიშნული ინიციატივა, ჩამონათვალში ცვლილების შეტანა წყდება კენჭისყრით.

საბოლოოდ, განსახორციელებელ პროექტებს ირჩევენ კენჭისყრით. იმ შემთხვევაში, თუ დასახლების საერთო კრების ან ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, ორმა ან მეტმა საპროექტო წინადადებამ მიიღო სხვებზე მეტი და თანაბარი რაოდენობის ხმა, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც, დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებაში განსახორციელებლად შეარჩევს კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო და ერთნაირი შედეგის მქონე საპროექტო წინადადებას/წინადადებებს.

პროექტების შერჩევის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს დასახლებების მიხედვით შესაბამის პროექტებს (მათ შორის, სავარაუდო ღირებულების მითითებით). ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულო, დასახლებების (გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა) მიხედვით ანაწილებს შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულ თანხას.

კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დასახლებებში.

**ცხრილი 3.4.1** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები 2019 წელს

| | |
|---|---|
| ა | სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილების, წყალსადენების, ჭისა და ა.შ. გაწმენდა); წყაროების მოპირკეთება; |
| ბ | სარწყავი სისტემები; |
| გ | სანიაღვრე არხები; |
| დ | ნაპირსამაგრი სამუშაოები; |
| ე | გზები; |
| ვ | ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები; |
| ზ | გარე განათება; |
| თ | სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; |
| ი | სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი; |
| კ | ამბულატორიის შენობები; |
| ლ | კულტურის ობიექტები; |
| მ | სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; |
| ნ | სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; |
| ო | წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; |
| პ | სასაფლაოს შემოღობვა; |
| ჟ | თავშეყრის ადგილები, მოსაცდელები; |
| რ | მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა. |

## პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხის ათვისების პროცედურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროექტებისთვის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

## 3.4.1.1 სოფლის მხარდამჭერი პროგრამა მესტიის მუნიციპალიტეტში

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამა წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მიმართულების ქვემიმართულებას და შეესაბამება პროგრამული კოდი 03 05.

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) განსაზღვრულია 20 793 800 ლარით, საიდანაც 1 781 000 ლარი, ანუ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტის 14.2% და მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 8.6%, მიემართება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას.

## თანხის გამოყოფა

მესტიის მუნიციპალიტეტი მოიცავს დაბა მესტიას და 16 თემს, ჯამში, 156 სოფელს. 2019 წლის მდგომარეობით, არსებული სოფლებიდან 4-ში მოსახლეობის რაოდენობა არ ფიქსირდება, სოფლების უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობა 200-ზე ნაკლებია, მხოლოდ 2 სოფელში დაფიქსირდა 200-ზე მეტი მოსახლე. შესაბამისად, 2019 წელს, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში თანხა გამოიყო 152 სოფლისთვის, მათ შორის, 150 სოფლიდან – თითოეულისთვის 10000 ლარი, ხოლო 2 სოფლისთვის[98] – თითოეულისთვის 12000 ლარი.

2019 წელს, ჯამში, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო – 1 781 000 ლარი[99].

**ცხრილი 3.4.2** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, თანხების გადანაწილება დასახლებების მიხედვით

| | თემი | სოფლების რაოდენობა[100] | გამოყოფილი თანხა სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | ბეჩო | 13 | 130000 |
| 2 | ეცერი | 14 | 140000 |
| 3 | იდლიანი | 4 | 42000 |
| 4 | იფარი | 4 | 40000 |
| 5 | კალა | 8 | 60000 |
| 6 | ლატალი | 11 | 112000 |
| 7 | ლახამულა | 11 | 100000 |
| 8 | ლენჯერი | 7 | 70000 |
| 9 | მულახი | 11 | 110000 |
| 10 | ნაკრა | 11 | 100000 |
| 11 | უშგული | 5 | 50000 |
| 12 | ფარი | 12 | 120000 |
| 13 | ცხუმარი | 6 | 60000 |
| 14 | წვირმი | 5 | 50000 |
| 15 | ჭუბერი | 10 | 100000 |
| 16 | ხაიში | 24 | 240000 |

98 სოფლები - იდლიანი, იენაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 200-ზე მეტია.

99 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N12 „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/4669005?publication=0

100 მოსახლეობის რაოდენობა არ ფიქსირდება - კალაში _ 2 სოფელში, ლახამურა - 1 სოფელში, ნაკრა -1 სოფელში

## დასახლებაში პროექტის შერჩევა

2019 წლის თებერვლის პერიოდში მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებები გაიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა თემში. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გადაწყდა, თუ რა საჭიროებებს მოხმარდება კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა.

**ცხრილი 3.4.3** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: სოფლის მეურნეობის მიმართულება*[101]

| პროგ-რამული კოდი | ქვემიმარ-თულება | გამოყო-ფილი თანხა[102] | სოფლის მხარდამ-ჭერი პროგრამის % წილი ინფრასტრუქ-ტურის მიმართულე-ბაში | ამ მიმართულებით განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობა |
|---|---|---|---|---|
| 03 05 | სოფლის მხარ-დაჭერის პროგრამა | 1781000 | 14.2% | აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით დაგეგმილი პროექტები: გარე განათება, გზები, თავშეყრის ადგილები, სასაფლაოს კეთილმოწყობა, სკოლამდელი დაწესებულებები, სპორტული ინფრასტრუქტურა, წისქვილების რეაბილიტაცია, წყლის სისტემები, ხიდები. |

## 3.4.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი სოფლის მეურნეობის მიმართულებით

სოფლის მეურნეობის სექტორში მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში გამოვლინდა 10 ძირითადი პრობლემა, რომელიც დაჯგუფდა 6 ძირითადი მიმართულებით (იხილეთ ცხრილი 3.4.4):

აქედან **მხოლოდ** ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას არ განეკუთვნება **არცერთი** პრობლემა, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს **ხუთი (5)** პრობლემის (1. სასოფლო – სამეურნეო მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; 2. სასოფლო-სამეურნეო მიწების დაურეგისტრირებლობა; 3. სარეალიზაციო ბაზრებზე ადგილობრივი ფერმერების შეზღუდული წვდომა; 4. ვეტერინარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; 5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და შენახვის მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე) მოგვარება.

როგორც ადგილობრივი ასევე ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა არცერთი პრობლემის მოგვარება, ხოლო არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას ერთი (1) პრობლემის (1. სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა) მოგვარება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, არსებული **ექვსივე (6)** პრობლემის მოგვარება ან მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება (5), ან კიდევ, არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებში არ ხვდება (1).

**ცხრილი 3.4.4** *მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები სოფლის მეურნეობის მიმართულებით (გამსხვილებულ კატეგორიებად)*

| პრიო-რიტეტი | თემატური ჯგუფი | პრობლემა |
|---|---|---|
| 1 | სასოფლო – სამეურნეო მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | - სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაზე შეზღუდული წვდომა;<br>- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა (ექსტენციის სერვისის ხელმიუწვდომლობა);<br>- სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი პროდუქტიულობა (საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება; |
| 2 | სასოფლო-სამეურნეო მიწების დაურეგისტრირებლობა | - დაურეგისტრირებელი მიწები; |
| 3 | სარეალიზაციო ბაზრებზე ადგილობრივი ფერმერების შეზღუდული წვდომა | - ადგილობრივი ფერმერების სარეალიზაციო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა |
| 4 | ვეტერინარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | - ვეტერინალური მომსახურების არასათანადო დონე და შეზღუდული წვდომა; |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და შენახვის მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | - სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი სიმძლავრეების არარსებობა;<br>- სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა;<br>- სასაკლაოს არარსებობა; |
| 6 | სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა | - სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა. |

101 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

102 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

***ცხრილი 3.4.5*** *პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/ მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების)% | სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | პრობლემის არსი: სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციასა და ინფორმაციაზე წვდომა მესტიის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. ტექნიკის, ინვენტარის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე და არასაკმარისი ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაბალ პროდუქტიულობას მუნიციპალიტეტში.<br>მესტიაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს მექანიზაციის სერვისცენტრი, როგორიც არის სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია - შპს „მექანიზატორი“, აღნიშნული ექვემდებარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ფუნქციონირებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის მასშტაბით, შპს „მექანიზატორის“ სერვისცენტრი აბაშაში მდებარეობს. შპს მექანიზატორის ძირითად მიზანს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და ფერმერთა ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, ნიადაგის თესვისწინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარება წარმოადგენს[103]. | კომპეტენციის არსი: სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართულ ყველა მოქალაქეს, მნიშვნელოვანია, ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე, აღნიშნული გაზრდის მათ პროდუქტიულობას და აამაღლებს ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას[104]. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შპს „მექანიზატორი“, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, ა(ა)იპ სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (ARDA)[105].<br>კომპეტენციის მარეგულირებელი: სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს მთავრობის განკარგულება – საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ[106]“.<br>საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-63 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ[107].<br>2. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას აკუთვნებს: ერთიან ენერგეტიკულ სისტემასა და რეჟიმს[108]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი | | |

103 http://www.alsc.ge/

104 საქართველოს მთავრობის განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545?publication=0

105 http://arda.gov.ge/

106 საქართველოს მთავრობის განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545?publication=0

107 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

108 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მესტიაში ასევე, არ არსებობს სოფლის მეურნეობის ტერიტორიული ორგანო - რეგიონული სამმართველო[109], აღნიშნული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მასშტაბით ზუგდიდში ფუნქციონირებს[110]. ამჟამად მესტიაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ფუნქციონირებს მხოლოდ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური[111], რომელიც ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. | | | | | |
| 2. სასოფლო-სამეურნეო მიწების დაურეგისტრირებლობა | პრობლემის არსი: სუსტად განვითარებული მიწის ბაზარი მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი არ არის აღრიცხული[112].<br>მიწების დაურეგისტრირებლობა პრობლემას უქმნის მესტიის მოსახლეობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ, ურთულებს საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობას და ხელს უშლის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში. | კომპეტენციის არსი: საქართველოში, მათ შორის, მესტიის მუნიციპალიტეტში, სუსტად არის განვითარებული მიწის ბაზარი. სამეგრელო-ზემო სვანეთის 2014-2021 წლების რეგიონის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ერთ-ერთ ღონისძიებად განსაზღვრულია აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის უზრუნველყოფა, ასევე, სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს მიწის შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზის განახლება[113]. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>საქართველოს კანონი - „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ. ამ კანონის მიზანია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფა [114]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი. | | |

[109] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-333, 2018 წლის 11 მაისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რეგიონული სამმართველოების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4184735?publication=0

[110] http://www.moa.gov.ge/Ge/Regions

[111] http://www.moa.gov.ge/Ge/Regions
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

[112] სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
http://szs.gov.ge/res/docs/2014050301151521560.pdf

[113] სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის
http://szs.gov.ge/res/docs/2014050301151521560.pdf

[114] საქართველოს კანონი - „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3306633?publication=6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. სარეალიზაციო ბაზრებზე ადგილობრივი ფერმერების შეზღუდული წვდომა | პრობლემის არსი: სარეალიზაციო ბაზრებზე შეზღუდული წვდომა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში ჩართული ფერმერებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში არ არის საკმარისად განვითარებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვი, მათ შორის, გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოები, დისტრიბუცია. ექსპორტზე პროდუქციის გატანასთან დაკავშირებით გამოწვევებს აწყდებიან. შესაბამისად, ფერმერებს საკუთარი პროდუქციის სარეალიზაციოდ მხოლოდ ადგილობრივი ბაზარი რჩებათ, რომელიც საკმაოდ მცირეა. | კომპეტენციის არსი: სარეალიზაციო ბაზრებზე წვდომა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, მესტიის მუნიციპალიტეტის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აგრობიზნესში ჩართული პირებისთვის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, DCFTA-ს მოთხოვნებთან ადაპტაცია, ექსპორტის ხელშეწყობა 2015-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ ღონისძიებებს წარმოადგენს. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 167 განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ[115].<br>2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-63 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ[116]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი. | | |
| 4. ვეტერინარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | პრობლემის არსი: არასათანადო ვეტერინალური მომსახურება[117] მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნბობის პროდუქტების დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზია და ხელს უშლის მეცხოველეობის განვითარებას მუნიციპალიტეტში. აღნიშნული პრობლემა გამოკვეთილია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2015-2021 წლების განვითარების სტრატეგიაშიც[118]. დაავადებათა დროული პრევენცია, მოსახლეობის დროული ინფორმირებულობა მოსალოდნელ დაავადებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეამცირებდა მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევას. | კომპეტენციის არსი: საქართველოში, მათ შორის, მესტიის მუნიციპალიტეტში, სუსტად არის განვითარებული კერძო ვეტერინარული სერვისი. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, სურსათის ეროვნული სააგენტო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1.საქართველოს კანონი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი[119] ; | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი. | | |

[115] საქართველოს მთავრობის განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545?publication=0

[116] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მინისტრის ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

[117] განმარტება: „საქმიანობა, რომლის მიზანია ცხოველის (მათ შორის, შინაური ცხოველის) ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა, უვნებელი ცხოველური პროდუქტის წარმოება, ზოონოზური დაავადებებისაგან მოსახლეობის დაცვა და ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა.“
საქართველოს მთავრობის განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545?publication=0

[118] სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.http://szs.gov.ge/res/docs/2014050301151521560.pdf

[119] საქართველოს კანონი, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=13

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020[120]“-ის მიხედვით სექტორის მოდერნიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის საქართველოს მთავრობის მიზანია ხელი შეუწყოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სისტემების დანერგვას და ამ მიმართულებით შეასრულოს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებები. | 2.საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე[121] ;<br>3.საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება N2-51 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ[122] ;<br>4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 თებერვლის ბრძანება №2-63 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ[123] ;<br>5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება No2-107 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ[124]. | | | |

120 საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

121 საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

122 საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება N 2-51 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2258440?publication=9

123 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

124 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება No2-107 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ . http://nfa.gov.ge/uploads/other/7/7000.pdf

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების, შენახვის სერვისების (მათ შორის, სასაკლაოს) არარსებობა მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობა მოსავლის აღებისთანავე პირველადი სახით ყიდის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, არ ხდება პროდუქციის გადამუშავება, ხოლო სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციას დაბალი ღირებულება აქვს ბაზარზე. აღნიშნული საწარმოების არსებობა ღირებულებას შესძენდა სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებას და გაზრდიდა სოფლის მეურნეობაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას მესტიის მუნიციპალიტეტში. | კომპეტენციის არსი: სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ის“ მიხედვით მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა, აღნიშნულისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი/შემნახველი ინფრაქტრუქტურის განვითარება მიიჩნევა. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ა(ა)იპ სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1.საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე[125];<br>2.საქართველოს მთავრობის 2015 წლის N 167 განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ[126];<br>3.საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-63 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ[127]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი | | |
| 6. სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა | პრობლემის არსი: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაუცველობა მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს. მოსახლეობისთვის მათ საკუთრებაში არსებული სავარგულების შემოღობვა ერთ-ერთი პრიორიტეტია. | კომპეტენციის არსი: არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებში არ შედის კერძო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემოღობვის უზრუნველყოფა. | კომპეტენციის განმახორციელებელი: NA<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები: NA<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები: NA | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი | | |

[125] საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე
http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

[126] საქართველოს მთავრობის განკარგულება - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2733545?publication=0

[127] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

## 3.4.3 სოფლის მეურნეობის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები

***ცხრილი 3.4.6*** *სოფლის მეურნეობის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით*

| პრიორიტეტი | პრობლემები | მონაწილოების მექანიზმები/გადაწყვეტის სხვა ფორმები |
|---|---|---|
| 1 | სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | 1. მოსახლეობა მიმართავს მესტიის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრს[128], რომელიც წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. წარუდგენს საკუთარ პრობლემას მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობასთან დაკავშირებით წერილობით, საკონსულტაციო ცენტრი კი აღნიშნულ პრობლემას გადასცემს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საკონტაქტო პირი: ნინო რატიანი<br>მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N 1 . ტელეფონი: 599 18 35 55 . ელფოსტა: nino.ratiani@moa.gov.ge<br>2. მოსახლეობა მიმართავს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრს მესტიაში და იღებს შესაბამის ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ გაზარდონ მოსავლის პროდუქტიულობა.<br>საკონტაქტო პირი: ნინო რატიანი. მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N 1<br>ტელეფონი: 599 18 35 55. ელფოსტა: nino.ratiani@moa.gov.ge<br>3. მოსახლეობა წერილობით მიმართავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „მექანიზატორს" მესტიაში შპს „მექანიზატორის" სერვისცენტრის გახსნასთან დაკავშირებით.<br>შპს „მექანიზატორი": მისამართი: საქართველო, თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის 10ა<br>ტელეფონი: 1501 (ცხელი ხაზი) (+995 32) 2 30 57 21 . ელფოსტა: info@alsc.ge |
| 2 | სასოფლო-სამეურნეო მიწების დაურეგისტრირებლობა | 1. მოსახლეობა მიმართავს მესტიის იუსტიციის სახლს[129] და იღებს შესაბამის ინფორმაციას მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.<br>მისამართი: მესტია, ილია გაბლიანის ქუჩა №1 |
| 3 | სარეალიზაციო ბაზრებზე ადგილობრივი ფერმერების შეზღუდული წვდომა | 2. მოსახლეობა მიმართავს მესტიის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრს[130], რომელიც წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. იღებს ინფორმაციას სარეალიზაციო ბაზრებსა თუ პუნქტებზე, ასევე, ცენტრს შეუძლია ფერმერების გაშვება გამოფენა-გაყიდვებზე.<br>საკონტაქტო პირი: ნინო რატიანი. მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N 1<br>ტელეფონი: 599 18 35 55. ელფოსტა: nino.ratiani@moa.gov.ge |
| 4 | ვეტერინარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | 1.მოსახლეობა მიმართავს მესტიის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრს[131], რომელიც წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებს მოსახლეობის დაკავშირებას შესაბამის სამსახურთან ან სპეციალისტთან.<br>საკონტაქტო პირი: ნინო რატიანი. მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N 1<br>ტელეფონი: 599 18 35 55. ელფოსტა: nino.ratiani@moa.gov.ge<br>2.მოსახლეობა მიმართავს სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ ოფისს მესტიაში[132], რომელიც წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს.<br>მისამართი: თამარ მეფის 12. ტელეფონი: +995595 22 11 54. ელფოსტა: samegrelozemosvaneti@nfa.gov.ge |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | 1.მოსახლეობა მიმართავს მესტიის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრს[133], რომელიც წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. მიიღებს ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები (მათ შორის, სასაკლაო). ცენტრს შეუძლია მოსახლეობას დაეხმაროს პროექტში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციის შევსებაშიც. საკონტაქტო პირი: ნინო რატიანი, მისამართი: მესტია, სეტის მოედანი N 1, ტელეფონი: 599 18 35 55, ელფოსტა: nino.ratiani@moa.gov.ge |
| 6 | სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაუცველობა | 1. მოსახლეობამ თვითონ უნდა უზრუნველყოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემოღობვა. |

128 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

129 http://psh.gov.ge/main/page/7/406

130 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

131 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

132 http://nfa.gov.ge/ge/kontaqti-96/regionuli-sammartveloebi/samegrelo-zemo-svanetis-regionuli-sammartvelo

133 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება https://matsne.gov.ge/ka/document/view/1853743?publication=4

# ტურიზმი

## 3.5 ტურიზმი

ტურიზმის მიმართულებით მუნიციპალიტეტის გაწერილი უფლებამოსილებები დადგენილი არ არის ორგანული კანონით, თუმცა კანონი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს[134]:

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით: შეუძლია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების მიზნით.

### 3.5.1 ტურიზმის დაფინანსების საბიუჯეტო წყაროების გამოკვეთა (ცენტრალური და ადგილობრივი)

2019 წელს ტურიზმის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლიდან ახორციელებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ტურიზმის მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას135. 2019 წლის მესტიის ბიუჯეტში ინფრაქტრუქტურის გარდა, სხვა მიმართულებით ტურიზმის განვითარებისთვის თანხები არ გამოყოფილა.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მიმართულების ქვემიმართულებას და შეესაბამება პროგრამული კოდი 03 07.

2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) განსაზღვრულია 20 793 800 ლარით, საიდანაც 30 000 ლარი, ანუ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტის 0.24%-ი და მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) 0.1%-ი, მიემართება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

**ცხრილი 3.5.1.** *მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანალიზი: ტურიზმის მიმართულება*[136]

| პროგრამული კოდი | ქვემიმართულება | გამოყოფილი თანხა (ლარი)[137] | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე გამოყოფილი ბიუჯეტის % წილი ინფრასტრუქტურის მიმართულებაში | ამ მიმართულებით განხორციელებული/ დაგეგმილი აქტივობა |
|---|---|---|---|---|
| 03 07 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 30000 | 0.24% | აღნიშნული პროგრამით ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დაფინანსება[138]. |

[134] საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

[135] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=5

[136] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

[137] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/4437329?publication=4

[138] წყარო: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
DMO-ს მიზანი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაციაა. ასევე, DMO ჩაატარებს რეგიონში ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზს და ახალ მიდგომას დანერგავს, რაც რეგიონის ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს.
http://szs.gov.ge/geo/news/show/10/2005

## 3.5.2 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების ანალიზი ტურიზმის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში

ტურიზმის სექტორში მესტიის მუნიციპალიტეტის 16 თემში გამოვლინდა 3 ძირითადი პრობლემა (იხილეთ ცხრილი 3.5.2) აქედან **სამივე (3)** პრობლემის (1. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა; 2. ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ დაბალი ცნობადობა; 3. ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება) მოგვარება როგორც **ადგილობრივი ასევე ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციაა.

ტურიზმის მიმართულებით, მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი **სამი (3)** პრიორიტეტული პრობლემიდან, **სამი (3)** პრობლემის მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა, თუმცა, 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, აღნიშნული **სამი (3)** პრობლემიდან, მხოლოდ **ერთი (1)** პრობლემის (1. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა) მოგვარება იყო გათვალისწინებული. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული **ორი (2)** პრობლემის (1. ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ დაბალი ცნობადობა; 2.ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება) მოგვარებისთვის, 2019 წლის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი გათვალისწინებული არ იყო.

***ცხრილი 3.5.2.*** *მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრიორიტეტული პრობლემები ტურიზმის მიმართულებით*

| პრიორიტეტი | პრობლემა |
|---|---|
| 1 | ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა |
| 2 | ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ დაბალი ცნობადობა. |
| 3 | ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება. |

***ცხრილი 3.5.3*** *პრობლემა, პრობლემისა და კომპეტენციის არსი, კომპეტენციის განმახორციელებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი, მთლიანი ბიუჯეტის % და ტურიზმის მიმართულებით გამოყოფილი თანხის %*

| პრობლემა | პრობლემის არსი | კომპეტენციის არსი | კომპეტენციის განმახორციელებელი/მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი რესურსი | მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების)% | ტურიზმის მიმართულებით გამოყოფილი თანხის % |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა | პრობლემის არსი: ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყებლობა მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის გამოწვევას წარმოადგენს. მარშუტების მარკირება, ტურისტული ობიექტების რუკაზე დატანა, ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად გაზრდიდა მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს. | კომპეტენციის არსი: ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორს წარმოადგენს. ეკონომიკის ზრდაში ტურიზმის სექტორის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა აღნიშნულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“<br>„საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში (2025)“ სტრატეგიაში ხაზგასმულია ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია. | კომეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო<br>კომპეტენციის მარეგულირებელი: სამართლებრივი აქტები:<br>1.საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე[139];<br>2. საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“[140];<br>3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ[141];<br>4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ[142]; | მუნიციპალიტეტს 2019 წლის ბიუჯეტში 03 07 კოდით 30 000 ლარი გამოყოფილი აქვს ტურიზმის ხელშეწყობაზე. | 0.1% | - |

[139] საქართველოს მთავრობის დადგენილება N 400, 2014 წლის 17 ივნისი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

[140] საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024548?publication=0

[141] საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3438759?publication=6

[142] საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3438759?publication=6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ[143]. | | | |
| ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ დაბალი ცნობადობა | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალტეტში პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ დაბალი ცნობადობა. აღნიშნული გამოწვევა მესტიის მუნიციპალიტეტში აფერხებს ტურიზმის სექტორის განვითარებას. | კომპეტენციის არსი: ზემო სვანეთში ტურიზმის სექტორს გააჩნია განვითარების მაღალი პოტენციალი, სვანეთის უძველესი კულტურა, კულტურულ-ისტორიული ძეგლები ქმნის პირობებს ტურიზმის სექტორის მაღალ დონეზე განვითარებისთის[144].<br>საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის მიხედვით, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გეგმის შემუშავება, რომელიც „კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. აღნიშნული მოიზიდავს მაღალ გადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან“[145]. სტრატეგიაში ხაზგასმულია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება.<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“[146];<br>2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ[147];<br>3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ[148]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალისწინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუნიციპალიტეტი | | - |

143 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860235?publication=1

144 საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024548?publication=0

145 საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

146 საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024548?publication=0

147 საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3438759?publication=6

148 მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860235?publication=1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება | პრობლემის არსი: მესტიის მუნიციპალიტეტში პრობლემას წარმოადგენს ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება და ტურისტული პოტენციალის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა დაბა მესტიის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, მაშინ, როცა ტურისტულად მიმზიდველი სხვა ლოკაციები ყურადღების მიღმა რჩება. | კომპეტენციის არსი: საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის მიზანს წარმოადგენს ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა და დარგის მნიშვნელობის გაზრდა[149]. სტრატეგიაში ხაზგასმულია ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია. | კომპეტენციის განმახორციელებელი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება.<br>კომპეტენციის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები: მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო.<br>კომპეტენციიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები:<br>1. საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე"[150];<br>2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ[151];<br>3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ[152]. | ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა გათვალის-წინებული არ არის, რადგან კომპეტენციას არ ახორციელებს მუ-ნიციპალიტეტი | | - |

[149] საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

[150] საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2013 წლის 18 სექტემბერი - „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე". https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024548?publication=0

[151] საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/642 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3438759?publication=6

[152] მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N29, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860235?publication=1

## 3.5.3 ტურიზმის მიმართულებით მესტიის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები

***ცხრილი 3.5.4.*** *ტურიზმის მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები არსებული სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებითა და მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა გზებით*

| პრიორიტეტი | პრობლემები | მონაწილეობის მექანიზმები/გადაწყვეტის სხვა ფორმები |
|---|---|---|
| 1 | ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა | 1. პეტიცია;<br>2. დასახლების საერთო კრება;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;<br>4. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა. |
| 2 | ადგილობრივი ტურისტული მარშრუ-ტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემ-კვიდრეობის ძეგლების შესახებ და-ბალი ცნობადობა | 1. პეტიცია;<br>2. დასახლების საერთო კრება;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;<br>4. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა. |
| 3 | ტურისტულად მიმზიდველი ლოკაცი-ების არათანაბარი განვითარება | 1. პეტიცია;<br>2. დასახლების საერთო კრება;<br>3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;<br>4. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა. |

# შეჯამება

2019 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულმა თანხამ 20,793,800 ლარი შეადგინა. დოკუმენტმა სიღრმისეულად მიმოიხილა ხუთი (5) თემატური მიმართულების (1. ინფრასტრუქტურა; 2. განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა; 3. გარემოს დაცვა; 4. სოფლის მეურნეობა; 5. ტურიზმი) მიხედვით, 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები (გადასახდელები).

2019 წლის ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი 60%, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დაიხარჯა, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულება გარკვეულწილად მოიცავს განათლების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებებსაც, რაც თითოეული თემატური მიმართულების მიხედვით, დოკუმენტში სიღრმისეულადაა გაანალიზებული. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყველაზე მცირე პროცენტული წილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას (0.3%), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას (4.7%) მოხმარდა.

ხუთი (5) თემატური მიმართულების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირდა 45 პრიორიტეტული პრობლემა, ხოლო გარკვეული პრობლემების დაჯგუფების შედეგად 35 პრობლემა სიღრმისეულად გაანალიზდა, აქედან:

- **მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას 13 პრობლემის** მოგვარება განეკუთვნება.
- **როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციაა **10 პრობლემის** მოგვარება.
- **მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციას **ცხრა (9) პრობლემის** მოგვარება განეკუთვნება.
- **არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების** კომპეტენციას კი სამი (3) პრობლემის მოგვარება წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ გამოკვეთილი 35 პრიორიტეტული პრობლემიდან, **23 პრობლემის** მოგვარება სრულად ან ნაწილობრივ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს. 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კი, აღნიშნული 23 პრობლემიდან, **ცხრა (9) პრობლემის** მოგვარება იყო გათვალისწინებული, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული **14 პრობლემის** მოგვარებისთვის 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი გათვალისწინებული არ ყოფილა (იხილეთ დანართი #1).

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლოებას ასევე აწუხებს **12 პრობლემა** (იხილეთ დანართი #1), რომელთა მოგვარებაც ან **მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების** კომპეტენციას განეკუთვნება, ან კიდევ, **არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების** კომპეტენციებში არ ხვდება.

# დანართები

**დანართი 1.** *მოსახლეობისთვის პრიორიტეტული სათემო პრობლემები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების მიხედვით და მათი ასახვა 2019 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში*

| # | პრიორიტეტული პრობლემები | ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია და გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში | ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია და 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის | მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა | არც ცენტრალურის და არც ადგილობრივის კომპეტენციას არ წარმოადგენს |
|---|---|---|---|---|---|
| | **ინფრასტრუქტურა** | | | | |
| 1 | დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძები | | | ✓ | |
| 2 | კანალიზაციის სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა | ✔ | | | |
| 3 | სატრანსპორტო და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზის გაუმართავობა | ✔ | | | |
| 4 | სასმელი წყლის მიწოდების ძველი და დაზიანებული სისტემები | | ✖ | | |
| 5 | ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმართავობა და შეთავაზებული სერვისების დაბალი ხარისხი | ✔ | | | |
| 6 | გზის გამჭრელი-გამწმენდი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა (მექანიზაციის ხელმისაწვდომობა არასაკმარისია) | | ✖ | | |
| 7 | სოფლის მოუწესრიგებელი ცენტრები | | ✖ | | |
| 8 | შეზღუდული წვდომა ინტერნეტსა და კავშირგაბმულობასთან | | | ✓ | |
| 9 | სოფელში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის გამოყოფილი ადგილის არქონა | | ✖ | | |
| 10 | გარე განათების არარსებობა | ✔ | | | |
| 11 | მუნიციპალური, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა | | ✖ | | |
| 12 | საძოვრებისა და სავარგულებისაკენ გზის არარსებობა | | ✖ | | |
| 13 | საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა. | | ✖ | | |
| 14 | საბანკო სერვისების არარსებობა (კერძო სერვისი) | | | | ✓ |
| 15 | საძოვრებზე ბაგებისა და ბინების არქონა | | | | ✓ |
| | **კულტურა, განათლება, ჯანდაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა** | | | | |
| 16 | კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა | ✔ | | | |
| 17 | სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების/სივრცეების ნაკლებობა | | ✖ | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ინფრასტრუქტურა) | ✅ | | | |
| 19 | პირველადი ჯანდაცვისა და სასწრაფო-სამედიცინო სერვისის არარსებობა/დაბალი ხარისხი | | ❌ | | |
| 20 | ავარიული და ძველი სასკოლო ინფრასტრუქტურა ან/და სკოლის არარსებობა | | | ✓ | |
| 21 | საბავშვო ბაღების სერვისის არარსებობა | | ❌ | | |
| 22 | საბავშვო გასართობი და რეკრეაციული სივრცეების ნაკლებობა | | ❌ | | |
| | **გარემოს დაცვა** | | | | |
| 23 | ბუნებრივი კატასტროფები პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია | ✅ | | | |
| 24 | სტიქიური ნაგავსაყრელები, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები | ✅ | | | |
| 25 | ხეტყის უკანონო ჩეხვა, გაუტყიანება | | ❌ | | |
| 26 | რადიაციული გამოსხივების მაღალი დონე | | | ✓ | |
| | **სოფლის მეურნეობა** | | | | |
| 27 | სასოფლო – სამეურნეო მექანიზაციისა და ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | | | ✓ | |
| 28 | სასოფლო-სამეურნეო მიწების დაურეგისტრირებლობა | | | ✓ | |
| 29 | სარეალიზაციო ბაზრებზე ადგილობრივი ფერმერების შეზღუდული წვდომა | | | ✓ | |
| 30 | ვეტერინარულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | | | ✓ | |
| 31 | სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და შენახვის მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე | | | ✓ | |
| 32 | სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაუცველობა | | | | ✓ |
| | **ტურიზმი** | | | | |
| 33 | ტურისტული ინფრასტრუქტურის მოუწყობლობა | ✅ | | | |
| 34 | ადგილობრივი ტურისტული მარშრუტების, ბუნებრივი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ  დაბალი ცნობადობა. | | ❌ | | |
| 35 | ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების არათანაბარი განვითარება. | | ❌ | | |

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ზემო სვანეთი
UPPER SVANETI LOCAL ACTION GROUP

2020
თბილისი